საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | №48 (68) | სამშაბათი, 12 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

მიმართვა აფხაზ ხალხისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენი საერთო კოლხური წარმოშობა, გენეტიკური ნათესაობა ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის, საერთო ისტორია, საერთო კულტურა, გვავალებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების მომავალ ბედ-იღბალზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ურთიერთის ჭირ-ვარამს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო გვქონდა საუკუნეთა განმავლობაში, ერთ ტაძარში ვლოცულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერთო მტრების წინააღმდეგ.

უძველესი აფხაზური გვარების წარმომადგენლები დღესაც არ ასხვავებენ ურთიერთისაგან აფხაზსა და ქართველს. აფხაზთა მთავრები, შერვაშიძეები, საკუთარ თავს არა მხოლოდ აფხაზ, არამედ ქართველ თავადებსაც უწოდებდნენ, ქართული ენა აფხაზურთან ერთად მათთვის დედა ენა იყო, ისევე როგორც იმჟამინდელი აფხაზი მწერლებისათვის. ეფხისტყაოსნის კულტურა გვაკავშირებდა ჩვენ და უძველესი ქართული ტაძრები ძველი ქართული წარწერებით დამშვენებულნი დღესაც რომ დგანან აფხაზეთში და ხიბლავენ მნახველს, ჩვენ შორის ძმობის სიმბოლოდ იყო გაღებული თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე, სოხუმის მახლობლად, დღესაც რომ ამშვენებს უძველესი ქართული წარწერა. ბედია და მოქვი, ამბარა, ბიჭვინთა და მრავალი სხვანი მოწმენი არიან ამ ძმობისა, ამ ერთობისა.

აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში. ამას მოწმობს აკაკის „გამზრდელი“ და სხვა მრავალი შედევრი ქართული მწერლობისა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ გაუთქვა სახელი მთელს ქვეყანაზე აფხაზურ კულტურას და ყოფას, აფხაზი ხალხის გმირობას და კეთილშობილებას, თავისი „მთვარის მოტაცებით“. ქართველმა მეცნიერებმა — ნიკო მარმა, არნოლდ ჩიქობავამ, ქეთევან ლომთათიძემ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აფხაზოლოგიის დაფუძნებაში, აფხაზური ენის გრამატიკის სისტემატიზაციის საქმეში, ქართველმა ისტორიკოსებმა: ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვებმა კი — აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხების კვლევაში, ხოლო აფხაზები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ ჩვენი საერთო სამეფოს განმტკიცებაში და კულტურულ აღმშენებლობაში.

ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გავუძელით, ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ შეარყიეს ვერც რომაელებმა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა და ვერც სხვებმა, მაგრამ აი, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში, ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უვერაგესი და უბოროტესი — რუსეთის იმპერია, რომელმაც არნახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხებს. რუსეთის იმპერიამ თურქეთში გადაასახლა აფხაზი ხალხის დიდი ნაწილი, მანვე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, გააუქმა საქართველოს სამეფო და მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსპობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ სისხლიანი რეპრესიებით და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი „დივიდე ეტ იმპერა“ — გათიშე და იბატონე და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად. თუმც მიუხედავად ამისა, როგორც ამას აღნიშნავდა თვით ნესტორ ლაკობა, ცარიზმმაც კი ვერ შეძლო აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება, მაგრამ დღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ საუბედუროდ მიაღწია ამას თავისი აგენტურის მეშვეობით, რაც მისი გეგმით დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები და ჰეგემონია კავკასიაში.

ჩვენ პატივს ვცემთ აფხაზი ხალხის ეროვნულ და კულტურულ უფლებებს: თქვენს სახელმწიფოებრიობას, თქვენს ენას, კულტურას, აფხაზურ სკოლას, თეატრს, ყოველნაირად ვცდილობთ მოლაპარაკებების გზით გადაჭრას სადავო საკითხებისას, მაგრამ სამწუხაროდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღვანელობა არ ამჟღავნებს სათანადო მზადყოფნას მოლაპარაკებისათვის, ადგას ჩვენს მიმართ კონფრონტაციის გზას, ნერგავს სეპარატისტულ ტენდენციებს, საფრთხეში აგდებს მშვიდობას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

დღეს, დიდი ხმაურია ატეხილი გალში ჩვენს მიერ პრეფექტის დანიშვნასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ჩვენი კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა წარმოადგინოს პრეფექტების კანდიდატურები, რომელნიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ. ამავე კანონის განმარტების მიხედვით, თუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ წარმოადგენს ასეთ კანდიდატურებს, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს თავად დანიშნოს პრეფექტი. მიუხედავად ჩვენი არაერთგზისი თხოვნისა, ბატონი არძინბა არ ჩამოვიდა თბილისში, არ დაესწრო პრეზიდიუმის სხდომებს, რომლის წევრიც არის იგი და არ წარმოადგინა პრეფექტის კანდიდატურა, ამიტომაც დაინიშნა გალში პრეფექტი. ამჟამად, მას ჩვენ მივეცით ვადა სხვა კანდიდატურების წარმოდგენისა, რასაც იგი კვლავ აჭიანურებს.

ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იგი ბოიკოტს უცხადებს ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პოლიტიკას პრეფექტურებთან დაკავშირებით და სურს აფხაზეთში შენარჩუნება დრომოჭმული კომუნისტური წყობილებისა, მმართველობის კომუნისტური სისტემისა, მაგრამ ჩვენ უნდა შევახსენოთ მას, რომ კომუნისტური სისტემა და საბჭოთა იმპერია დღეს განწირულია და ამაოდ ცდილობენ მავანნი და მავანნი ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. ადრე თუ გვიან, საბჭოთა კავშირის დამონებული ხალხები გადაიგდებენ კომუნისტური დიქტატურის უღელს და მაშინ არძინბას მსგავსი მოღვაწეები შეფასდებიან, როგორც საკუთარი ხალხების მოღალატენი.

დღეს, მთელი მსოფლიო გმობს გორბაჩოვის რეპრესიულ პოლიტიკას დაპყრობილი ერების მიმართ, ლიტვაში და ლატვიაში ჩადენილ ბარბაროსობას, ასე რომ საბჭოთა ტანკების იმედი ნულარავის ექნება. მსოფლიო გმობს აგრეთვე ცენტრის მიერ ინტერფრონტების და „ხსნის კომიტეტების“ შექმნის მცდელობას ხალხის მიერ არჩეული მთავრობების დამხობის მიზნით. და აი, ასეთ დროს აფხაზეთში შეიქმნა ინტერფრონტი, რომელსაც სურს გაიმეოროს ბალტიისპირეთის მოდელი, ხოლო არძინბა გამუდმებით იწვევს იმპერიის ჯარს, რათა სისხლისღვრა გამოიწვიოს აფხაზეთში. მან უკვე მიაღწია შინაგანი ჯარის შემოყვანას ბაბუშერაში, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიო ისევე დაგმობს მის საქციელს, როგორც დაგმო ბალტიისპირეთის „ხსნის კომიტეტები“. ამით არძინბას სურს აფხაზი ხალხი ჩაითრიოს სახიფათო ავანტიურაში, რომელიც მას მხოლოდ სირცხვილსა და უბედურებას მოუტანს. ასევე სახიფათო იქნება აფხაზეთის მოსახლეობისათვის მონაწილეობა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, რაც მიზნად ისახავს ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას აფხაზეთში, ქართველების, აფხაზების, სომხების, რუსების და სხვა ეროვნებების ურთიერთდაპირისპირებას, ხალხთა შორის სისხლისღვრის პროვოცირებას. ამიტომ მოგიწოდებთ: ნუ აჰყვებით პროკომუნისტებს, ჩვენი ისტორიული მტრების აგენტებს და პროვოკატორებს, ბოიკოტი გამოუცხადეთ საბჭოთა რეფერენდუმს და მონაწილეობა მიიღეთ საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმში, რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმავლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას!

გვფარავდეს ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა!

სიყვარულით და პატივისცემით

ზვიად გამსახურდია.

ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ლანდსბერგისს

თქვენო აღმატებულებავ!

ქართველი ერის სახელით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ლიტველ ხალხს ლიტვის სახელმწიფოს აღდგენის შესახებ ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტის მიღების წლისთავს.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკების მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ხალხების ინტერესებისა და მისწრაფებების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-14 თავის სათაური, 122-ე მუხლი და 123-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თავი 14. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 122. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

მუხლი 123. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ქმნის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები“.

2. კონსტიტუციის ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა“.

3. 104-ე მუხლის 22-ე პუნქტში სიტყვები „სამინისტროებსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტებს“ შეიცვალოს სიტყვით „სამინისტროებს“.

4. 125-ე მუხლის მესამე პუნქტში სიტყვები „სოციალისტური საკუთრებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „ყველა ფორმის საკუთრებისა“.

5. 126-ე მუხლში სიტყვები „პირველი მოადგილეებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველი მოადგილისა“.

6. 1- 128-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 136-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 154-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 176-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს შესაბამისად სიტყვები „სახელმწიფო კომიტეტების“, „სახელმწიფო კომიტეტებს“, „სახელმწიფო კომიტეტებისა“ და „სახელმწიფო კომიტეტისა“.

7. 129-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 129.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აერთიანებს და წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და თავისი სხვა საქვეუწყებო ორგანოების მუშაობას.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მეურნეობის დარგებს და ექვემდებარებიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს აკისრიათ პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი მეურნეობის დარგის მდგომარეობისა და განვითარებისათვის; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათ შესრულებას“.

8. 130-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 130.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას, მისი საქმიანობის წესს, მთავრობის ურთიერთობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების ნუსხას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე განსაზღვრავს კანონი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 28 თებერვალი

ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ხ. გალაზოვს

სსრ კავშირის მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ საშუალებებს

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ არაობიექტურ პოზიციას დაადგექით ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ამბებისადმი. ამახინჯებთ და აყალბებთ რა ფაქტებს, ახდენთ საერთაშორისო და საბჭოთა საზოგადოებრიობის დეზინფორმაციას, ამით მეთოდიკურად უმზადებთ ნიადაგს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღებას. ამ ვერაგული ნაბიჯის მიზანია საქართველოს ისტორიული ტერიტორიული მთლიანობის დანაწილება. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მმართველობის შინაგან სტრუქტურებში ჩარევა უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს.

თუ კვლავაც გაგრძელდება მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური საშუალებებისა და ჩრდილოეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული საგანგებო კომიტეტის პრესცენტრის მიზანმიმართული დეზინფორმაციის ესკალაცია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იტოვებს კანონიერ უფლებას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე განახორციელოს თქვენი პროვოკაციული საქმიანობის მხილებისა და აღკვეთის შესაბამისი ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით გამოცხადებული საგანგებო წესების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1991 წლის 12 აპრილამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

მ. გ. გოგუაძის ლანჩხუთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს მერაბ გიორგის ძე გოგუაძე ლანჩხუთის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 4 მარტი.

ინტერვიუ

ახლოვდება საკრებულოების არჩევნების დღე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ 28 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ყურადღება ძირითადად ამ მოვლენისკენაა მიპყრობილი. ცენტრალური საარჩევნო კომისია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ამომრჩევლებმა კარგად გაიგონ ყველა წესი, რომლებიც კი დაკავშირებულია ხმის მიცემასთან. მიუხედავად ამისა, ბევრს აინტერესებს, კიდევ ერთხელ განემარტოს, თუ როგორი პროცედურა უნდა გაიარონ. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 31 მარტს საკრებულოების არჩევნებთან ერთად უნდა მოეწყო რეფერენდუმიც, რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობის აზრის ჩვენება სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით. რაღა თქმა უნდა, ამ, მე ვიტყოდი, სამკვდრო-სასიცოცხლო საქმის წარმატებით ჩატარებაზე ბევრადაა განპირობებული მსოფლიო დემოკრატიული ძალების ჩვენდამი დამოკიდებულების კიდევ უფრო გაუმჯობესება. მათთვის ჩვენი თავისუფლებისაკენ სწრაფვის ჩვენება ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. ამდენად, ყველას, ვისაც კი საქართველოსთვის გული შესტკივა, ვისაც კი სურს, რომ იხილოს თავისი ქვეყანა სხვა ერთა შორის თანასწორი, ევალება რეფერენდუმსა და არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მიღება. ამისთვის კი, უპირველესად საჭიროა კარგად ვერკვეოდეთ იმ წესებში, რომელთა განუხრელი შესრულებაც მოეთხოვება თითოეულ ამომრჩეველს. სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე.

არჩევნების, რეფერენდუმის

— ბატონო არჩილ, როგორც ცნობილია, შემუშავებულია საკმაოდ რთული და შრომატევადი საარჩევნო მექანიზმი, რისი განმარტებაც ამომრჩევლებისათვის, ვფიქრობთ, აუცილებელია.

— მეტი სინათლისათვის მინდა გითხრათ, რომ რთულია არა მთლიანად საარჩევნო მექანიზმი, არამედ მხოლოდ ხმების დათვლის პროცედურა. მიუხედავად სირთულისა, მრავალ ვარიანტს შორის მაინც ეს ავირჩიეთ, რადგან ეს სტრუქტურა გამორიცხავს ყოველგვარ შემთხვევითობას. ვინაიდან დათვლის წესები საკმაოდ რთულია, ვაპირებთ 10-15 დღის განმავლობაში სემინარების ჩატარებას. ამით გვინდა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი გაუგებრობანი. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ამის ცოდნა აუცილებელია არა მარტო ხმების დამთვლელთათვის, არამედ თვით კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირებისთვისაც, რათა მათგან დაეჭვება ობიექტურობაში თავიდან ავიცილოთ.

— კონკრეტულად, რა ევალებათ ამომრჩევლებს?

— ამომრჩეველმა უნდა აიღოს ორი ბიულეტენი, რომელთაგან ერთში იქნება საკრებულოში ასარჩევი კანდიდატების გვარები, მეორე სარეფერენდუმოა. პირველ შემთხვევაში ხმის მიმცემს ევალება ერთადერთი რამ: თავისთვის მისაღები კანდიდატის გვარის გასწვრივ სპეციალურ უჯრაში ჩაწეროს ციფრი — „ერთი“, გარდა ამისა, თუ მას სურს შეუძლია სხვებსაც დაუწეროს „ნიშანი“, ოღონდ დაუშვებელია ერთი და იგივე ციფრის ორ გვართან დასმა. ასეთ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება. პირველ რიგში დაითვლება ერთიანები, ვინც ამით უკვე შეძლებს ქვოტას დაგროვებას, არჩეულად ჩაითვლება. ერთიანების შემდეგ, თუ საჭირო გახდა, დათვლიან სხვა „ნიშნებსაც“, მანამ, ვიდრე არ გაიცემა ყველა მანდატი. როგორც ხედავთ, სისტემა არცთუ ისე ადვილია, ამიტომ კვლავ ვთხოვ ამომრჩევლებს გაერკვნენ ინსტრუქციებში, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა.

რაც შეეხება რეფერენდუმს, ამისთვის განკუთვნილია მეორე ბიულეტენი, რითაც ამომრჩეველი ფაქტობრივად ხმას აძლევს საქართველოს დამოუკიდებლობას. თუმცა მას იურიდიული ძალა არა აქვს, მაგრამ მის უდიდეს მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. ამით ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა დავანახოთ მსოფლიოს, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა მტკიცედ დგას დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე და რომ ის მართლაც აპირებს გარდამავალი პერიოდის დასრულებას სრული სახელმწიფოებრიობის აღდგენით. ყველასთვის ცხადია, რომ შედეგები უნდა იყოს დამაჯერებელი. არავის არ უნდა მივცეთ დაეჭვების საბაბი, თითქოს აქ რამე წესი დაირღვა, ამიტომ საჭიროა მისი ორგანიზებულად და ერთსულოვნად ჩატარება.

ისიც ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ამ მდგომარეობაში ყოველი ხმა ძვირფასია, ამიტომ საქართველოს მიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში. ეს ეხება იმათაც, ვინც დროებით ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაა წასული სასწავლებლად თუ სამუშაოდ. მათი პატრიოტული ვალია, 31 მარტისთვის როგორმე დაბრუნდნენ სამშობლოში.

— როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისთვის საზღვარგარეთიდან მოწვეულნი იყვნენ მეთვალყურენი. აპირებთ თუ არა რეფერენდუმისთვის მათ მოწვევას?

— რაკი თავდაპირველად მხოლოდ საკრებულოების არჩევნები იმართებოდა, არ გვიფიქრია უცხოელ მეთვალყურეთა მოწვევა, მაგრამ რეფერენდუმმა შეცვალა მდგომარეობა. აუცილებლად მოვიწვევთ უცხოელებს კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებიდან, აგრეთვე ბალტიისპირეთიდან, რუსეთიდან, ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან. ამ დღეებში შევადგენთ საორიენტაციო ნუსხას, სიას განიხილავს კომისია, რის შემდეგაც მოვიწვევთ მეთვალყურეებს.

— როგორც ითქვა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რამდენადმე განსხვავებული იქნება არჩევნები, რაში მდგომარეობს ეს სხვაობა?

— არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის. საქმე ის გახლავთ, რომ აჭარაში საკრებულოების არჩევნებთან და რეფერენდუმთან ერთად იმართება აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებიც. ამიტომ იქ ორის ნაცვლად იქნება სამი ბიულეტენი, ერთი საკრებულოსათვის, ერთი რეფერენდუმისთვის და ერთიც აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებისთვის.

— რაც შეეხება აფხაზეთს, როგორც ცნობილია, იქ არჩევნები არ ტარდება...

— აფხაზეთში მოეწყობა რეფერენდუმი, საკრებულოების არჩევნები — არა.

დღის მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარების უფლება აქვს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. მათ არჩევნების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, არც სავარაუდო ვადებია ცნობილი. ერთი კი ცხადია, ეს გადავადება არ შეიძლება გაუთავებლად გაგრძელდეს. ადრე თუ გვიან, არჩევნები უნდა ჩატარდეს, რადგან არ შეიძლება მოსახლეობას არ მიეცეს ადგილობრივი მმართველობის არჩევის საშუალება.

ამასთან ერთად, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივმართო საქართველოს მოსახლეობას: ის, ვისაც აღელვებს მშობელი ქვეყნის ბედი, უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა არჩევნებში და რეფერენდუმში. არაქართველ მოსახლეობას უნდა განვუმარტოთ, რომ თავისუფალ საქართველოში ყველას ექნება თანაბარი უფლება, თუკი იღვაწებენ მისი დამოუკიდებლობისათვის. ისიც საჭიროა გავაგებინოთ, რომ გარეშე ძალების ჩაურევლად, რის საშუალებასაც მხოლოდ სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოგვცემდა, უფრო შეხმატკბილებულად ვიცხოვრებთ.

თუკი შევძლებთ ჩვენი მიზნის მიღწევას, საშუალება მოგვეცემა ისე ვიცხოვროთ, როგორც ეკადრება XX საუკუნის მიწურულში მცხოვრებ ადამიანს.

— ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა

ბელა ნატროშვილი.

ცენტრმა შეთანხმებას ვერ მიაღწია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წარმომადგენლები მედეა კეიდია და არჩილ დავითაია მეთვალყურის სტატუსით დაესწრნენ რესპუბლიკათა საპარლამენტთაშორისო ეკოლოგიური საბჭოს მორიგ თათბირს, რომელიც 20-21 თებერვალს გაიმართა ქ. კიშინიოვში. თათბირს ესწრებოდნენ უკრაინის, ბელორუსიის, რსფს რესპუბლიკის, მოლდოვის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის და ტაჯიკეთის წარმომადგენლები, ბუნების დაცვის საკავშირო კომიტეტის ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ა. იაბლოკოვი.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: სახელმწიფოთაშორისო (რესპუბლიკათაშორისი) ეკოლოგიური შეთანხმების პროექტის დამატებებისა და შესწორებების განხილვა, და ცენტრის მიერ წარმოდგენილი ეკოლოგიური პრობლემების დროებითი შეთანხმების პროექტის განხილვა.

ისეთ ვითარებაში, როცა რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის ფორმები გამოკვეთილი არ არის, საქართველოს უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიამ რესპუბლიკებს შორის ნებისმიერ ეკოლოგიურ შეთანხმებაზე ლაპარაკი მიზანშეუწონლად მიიჩნია. ამის გამო საქართველოს დელეგაციის წევრმა არჩილ დავითაიამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ, ესწრება რა თათბირს მეთვალყურის სტატუსით, საქართველოს დელეგაცია სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ბალტიის ქვეყნების დელეგაციებმაც განაცხადეს, რომ ისინიც თათბირს სტუმრის სტატუსით ესწრებიან.

ცენტრის მიერ წარმოდგენილმა დროებითი შეთანხმების პროექტმა — სათაურით „საბჭოთა კავშირის პრეზიდენტისა და ეკოლოგიის პრობლემებზე რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა ხელმძღვანელი მუშაკების დროებითი დებულება“ — თათბირის ყველა მონაწილის მკაფიო წინააღმდეგობა გამოიწვია.

აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარემ ა. ნურიევმა განაცხადა: „ჩვენ აქ რესპუბლიკებთან ურთიერთობის დასამყარებლად ჩამოვედით და არა პრეზიდენტთან შესათანხმებლად. ამ დებულებასთან არაფერი გვესაქმება“.

უკრაინის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარემ ი. კოსტენკომ კატეგორიული უარი განაცხადა დროებითი დებულების განხილვაზე და შეახსენა თათბირის მონაწილეებს ის ფაქტი, რომ საკავშირო დადგენილება ჩერნობილის ავარიის შედეგების ლიკვიდაციის თაობაზე მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც რესპუბლიკამ თვითონ დაიწყო ამ საკითხზე აქტიური ზრუნვა.

მოლდოვის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ ვ. გუსაკმა ამცნო დამსწრეთ, რომ მოლდოვას ურჩევნია სხვისი კარნახის გარეშე მიხედოს თავის საქმეს.

აკადემიკოს ა. იაბლოკოვის ცდა — გაემართლებინა პრეზიდენტის პოლიტიკა მომავალშიც ძველებურად გაეტარებინა ბუნებათსარგებლობის ერთიანი სტრატეგია და ტაქტიკა რესპუბლიკებში, მარცხით დამთავრდა.

ბელორუსიის უზენაესი საბჭოს ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარემ გ. სავიცკიმ ასე მიმართა ა. იაბლოკოვს: „თქვენი გამოსვლა ნაციონალურ-შოვინისტური და მიზნად ისახავს ცენტრის რესპუბლიკებზე ძველებური მბრძანებლობის დამკვიდრებას, იმ მეთოდების და ხერხების კვლავ დაბრუნებას, რომლებმაც 70 წლის განმავლობაში ასე დაგვღუპეს და ასე გაგვაღატაკეს, ასე გააჩანაგეს ჩვენი ბუნება, ჩვენი გარემო. ერთი რომ გავიწყდებათ, რომ რესპუბლიკები ძველებურად არ დაემორჩილებიან ცენტრის ნებას. ვერანაირი დიქტატი ვერ დააბრუნებს წარსულს“.

ამრიგად, თათბირის მონაწილეებმა ცენტრის დროებითი დებულება უარყვეს. სამუშაო ჯგუფი შეუდგა სახელმწიფოთაშორისი (რესპუბლიკათაშორისი) შეთანხმების პროექტის განხილვას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

ვინ ვინ არის

ედუარდ შევარდნაძე ბორის ელცინს:

„...ეს პარტიის ღალატია. თქვენ ეს არ გაგივათ“

(1987 წლის 21 ოქტომბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ქალაქი მოსკოვი)



„მე უნდა გადავდგე. დაე, ეს იყოს ჩემი პროტესტი მოახლოებული დიქტატურის წინააღმდეგ".

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, გორბაჩოვისეული „პერესტროიკის" აქტიური თანამონაწილის, ედუარდ შევარდნაძის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ნათქვამი ეს სიტყვები, მართალია, მეხივით კი გავარდა, მაგრამ არცთუ ისე მოწმენდილ ცაზე.

„დარბაზი კინაღამ აფეთქდა.

ტაშს უკრავდა ყველა — მომხრეც და მოწინააღმდეგეც. მტერიც და მოყვარეც. უმრავლესობა ფეხზე ამდგარი", — ასე აღწერდა დეპუტატთა რეაქციას რუსული პოლიტიკური ყოველკვირეული „ნოვოე ვრემია".

ფაქტია. ბატონმა მინისტრმა, უმეტეს შემთხვევაში, ყოველთვის იცოდა სად, რა და როგორ უნდა ეთქვა! სად როგორ მოქცეულიყო!

ალბათ, სწორედ ეს გახლავთ მთავარი ბატონ ედუარდ შევარდნაძის „იმიჯში", მისი პოლიტიკური სავიზიტო ბარათის თვალშისაცემი შტრიხი.

ის, რაც ედუარდ შევარდნაძის თანამდებობიდან გადადგომას მოჰყვა (ვგულისხმობთ შინაურ, და, რაც მთავარია, საგარეო რეაქციას) მკითხველს ზედმიწევნით კარგად მოეხსენება — ალაპარაკა მთელი მსოფლიო. დაიძრა განაწყენებული დეპეშებისა და სინანულით სავსე გამოხმაურებების უზარმაზარი ნიაღვარი. თითქოსდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ბოლო წლების საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ნებისმიერი პერსპექტივა. დემოკრატიულმა მსოფლიომ, მინისტრის გადადგომა „პერესტროიკის" უდროოდ აღსრულებად აღიქვა.

ფაქტია. ედუარდ შევარდნაძემ შესანიშნავად იცის სად, რა და როგორ ილაპარაკოს.

მაგრამ, განცხადება განცხადებად და გადადგომა გადადგომად. აქ მთავარი სხვა რამაა. ლოგიკურად იბადება კითხვა: რომელ მოახლოებულ დიქტატურას გულისხმობდა ან რა საშინელ საფრთხეზე საუბრობდა ასეთი აღელვებით მინისტრი?

ალბათ, თბილისის, ბაქოს, ფერგანის, ყარაბახის სისხლიანი გამოცდილებიდან შობილ, ვილნიუსისა და რიგის ტრაგიკულ მოვლენებს — ამაზრზენად და მუხანათურად დაღვრილ უდანაშაულო ადამიანთა სისხლს. იმ ადამიანთა, რომელთა ერთადერთი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ „პერესტროიკის" ჩრდილოული მზით დაბრმავებულებმა გაიხსენეს, რომ ადამიანები იყვნენ.

ე. ი. სწორედ ამ ტრაგიკულ სიტუაციებთან აიგივებდა საგარეო საქმეთა მინისტრი „მოახლოებულ დიქტატურას".

ადამიანური ლოგიკის ელემენტარული პრინციპებიდან გამომდინარე, ასეთი უნდა იყოს პასუხი ზემოთ წამოჭრილ კითხვაზე.

მაგრამ არა.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ეს არ დაადასტურა.

პომპეზური გადადგომიდან სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ, „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტის შეკითხვას, თვლის თუ არა საქართველოში, ბალტიისპირეთსა და სხვა რესპუბლიკებში, საბჭოთა არმიის ნაწილების შეყვანას ყრილობაზე ხაზგასმულ „მოახლოებულ დიქტატურად", ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სავსებით მკაფიო და არაორაზროვანი პასუხი გასცა:

— მე ვერ ვიტყვი, რომ ეს რაიმენაირი დიქტატურის გამოვლინებაა. ეს გახლავთ ელემენტარული წესრიგის დამყარების სურვილი, რადგან ქაოსის და ანარქიის პირობებში შეუძლებელია ცხოვრება. სწორედ ქაოსსა და ანარქიას მივყავართ დიქტატურისაკენ. ახლა, ყველა ჩვენთაგანის ძალისხმევა ელემენტარული წესრიგის მისაღწევად უნდა გაერთიანდეს. ადამიანებს არ უნდა ეშინოდეთ თავიანთი და შვილების სიცოცხლის ხელყოფისა. („კომსომოლსკაია პრავდა", 12 იანვარი, 1991 წელი).

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კარგად იცის სად, რა და როგორ ილაპარაკოს!

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვალსა და ხელს შუა ირღვევა სრულიად უბრალო ჭეშმარიტება — გამოდის, რომ თავისუფლებას მონატრებულ ბალტიისპირელებზე რუსული ტანკებით და ჯავშანტრანსპორტიორებით გადავლა, **„ელემენტარული წესრიგის დამყარების სურვილის"** უწყინარი გამოვლენა ყოფილა, ხოლო იმპერიის სხვადასხვა ხალხთა აბსოლუტურად ბუნებრივი და კანონიერი მისწრაფება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ **„ქაოსი და ანარქია"**. რასაც იმ ულმობელი დიქტატურისაკენ მივყავართ ასე რომ **„არ უნდა"** ცენტრს.

დასკვნა ერთია.

არა მარტო დემოკრატიული მსოფლიოსათვის, ჩვენთვისაც ჯერჯერობით საიდუმლოებად დარჩა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის როგორც გადადგომის ფაქტის ნამდვილი მიზეზი, ასევე, ამ, როგორც საკავშირო პრესა უწოდებს „ადამიანის თავის თავზე ამაღლების" ნამდვილი მოტივიც.

თუმცა, კაცი ბჭობდა ღმერთი იცინოდაო.

ფაქტია, რომ დღესდღეობით, მსოფლიოში, ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე სავსებით განსაზღვრული და თავისებური ლოგიკით დასაბუთებული კონკრეტული შეხედულებაა გაბატონებული — „პერესტროიკის" ერთ-ერთი ყველაზე მეტად აქტიური სულისჩამდგმელი და ინიციატორი. ბოლო წლების საბჭოთა საგარეო პოლიტიკის (შეიარაღებული რუსის პანიკური შიში, დასავლეთში პოლიტიკოსებს უკვე ჩვევაში გადაეზარდათ) მთავარი შემოქმედი და უშუალო განმახორციელებელი. იმ საგარეო პოლიტიკისა, რომელმაც საბჭოთა კავშირი მტრული გარემოცვიდან გამოიყვანა. იმ პოლიტიკისა, რომლის მეოხებითაც წერტილი დაესვა „ცივ ომს". იმ პოლიტიკისა, რომლის გამოც გუშინდელ მოწინააღმდეგეებთან, იმპერია დღეს „დამთბარ" დიპლომატიურ ენაზე საუბრობს — ხელმოწერილია თვისებრივად ახალი ორმხრივი ხელშეკრულებები საფრანგეთთან, იტალიასთან, გერმანიასთან. დღესდღეობით, საბჭოთა ჯარისკაცები გერმანიის ტერიტორიაზე კი არ თხრიან „აკოფებს", არამედ პირიქით, გერმანელები აშენებენ საცხოვრებელ სახლებს რუსი ჯარისკაცებისათვის საბჭოთა კავშირში. გამოყვანილია ჯარი ავღანეთიდან, მოწესრიგდა ურთიერთობა ჩინეთთან, მიმდინარეობს მოლაპარაკება იაპონიასთან, ორივე კორეასთან და ა. შ.

ასე რომ, უცხოეთში და ბევრგან საბჭოთა კავშირშიც, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ყველაფერი პროგრესულის, ნამდვილად დემოკრატიულისა და ცივილიზირებულის დამცველისა და ცხოვრებაში გამტარებლის როლში გამოდის.

და ყოველივე ზემოთქმულის სათუოობის მიუხედავად, უცხოელებს არ გაემტყუნებათ — ისინი ხომ ედუარდ შევარდნაძეს იცნობენ და აღიქვამენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი საერთაშორისო სარბიელზე გამოჩნდა და უნდა ითქვას, შესაშური მოხერხებით აუღო ალღო იმ სფეროს „პერესტროიკისა", რომელიც განსაკუთრებით იყო საჭირო რუსეთის იმპერიის აგონიის ბოლო სტადიის, რაც შეიძლება შორს გადასაწევად — საგარეო პოლიტიკას.

ის, რაც ზემოთ ითქვა, ფაქტია.

მაგრამ, არსებობს კიდევ ერთი, უფრო მეტად დასაბუთებული და ნათელი ჭეშმარიტება, რომელიც, პირველ ყოვლისა, ფაქტებს ეყრდნობა და ურომლისოდაც ვერანაირად ვერ იქნება სრულყოფილი მინისტრის პოლიტიკური პორტრეტის პალიტრა.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე, აშკარად გამოხატული ნიჭისა და ალღოს მეოხებით, ყოველთვის ზუსტად გრძნობდა სიტუაციას და საჭირო შემთხვევაში ადვილად ცვლიდა აქცენტებს — არგუმენტების ძალაუფლებას ძალაუფლების არგუმენტებზე. და ამის გაუთვალისწინებლად, ვიმეორებთ, მისი პოლიტიკური პორტრეტი დასანანად ფერმკრთალი იქნებოდა.

მაგალითებისათვის, შორს წასვლა სრულიადაც არ არის საჭირო.

გავიხსენოთ 1987 წელი.

წელი, რომელსაც საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ წრეებში ყველაზე „პერესტროიჩნის" უწოდებენ.

ამ შეფასებას, თავისი მიზეზები აქვს.

სწორედ 1987 წელს მიიღო მანამდე არნახული გაქანება კომუნისტური „კერპთაყვანისმცემლობისა" და დაკანონებული სტერეოტიპების რღვევამ. ალბათ, ყველა ჩვენთაგანს ახსოვს იმ პერიოდის ხშირი საგაზეთო პუბლიკაციები თუ სატელევიზიო გადაცემები, უჩვეულო სითამამითა და პრინციპულობით რომ იწვევდა ჩვენი საზოგადოების მოაზროვნე და მკითხველ-მაყურებელი ნაწილის აღტაცებას.

მოკლედ, 1987 იყო ის წელიწადი, როდესაც ჯერ კიდევ აკრძალული ხილის სურნელის გამო საგანგებოდ მიმზიდველი ტელე და პრეს-რევოლუცია, ულმობელი ისტორიული კანონზომიერებით ამზადებდა იმ მოვლენებს, იმ სინამდვილეს, რომლის გარეშეც, დღეს უკვე წარმოუდგენელია ჩვენი მომავალი და ხვალინდელი დღე.

ეს პატარა შესავალი, 1987-თან დაკავშირებით, ჩვენ შემთხვევით არ მოგვიყვანია. იმ პერიოდში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უმაღლესი საბჭოური პოლიტიკური ეშელონის ნებისმიერი წარმომადგენლის პოზიციას. ეს იყო დრო, როდესაც ჯერ კიდევ შესაშურად მტკიცე გახლდათ ეგორ კუზმიჩ ლიგაჩოვისა და სხვა მსგავსი, რბილად რომ ვთქვათ „კონსერვატორი" პოლიტიკური გვამების პოზიციები.

ე. ი. ჯერ კიდევ არაფერი იყო გადაწყვეტილი.

ქართველ საზოგადოებრიობას ალბათ ახსოვს, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ოქტომბრის პლენუმი, რომელზე მომხდარი ამბებიც, ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში. აირია ჭორი და მართალი. სინამდვილე და მონაგონი.

მაგრამ, ერთი მთავარი იმთავითვე ყველამ იცოდა.

მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის პირველმა მდივანმა, მანამდე შედარებით ნაკლებად ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ბორის ელცინმა გაბედა და გააკრიტიკა სკკპ ცკ-ს სამდივნო და პირადად ეგორ ლიგაჩოვი.

სიტყვის დამთავრებისთანავე, პლენუმზე (რომელიც, სხვათა შორის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის საზეიმო მზადების ტრადიციულ კომუნისტურ საკითხებს ეძღვნებოდა) ბორის ელცინი უმაღლესი რანგის და რეგალიების პარტიულ ფუნქციონერთა სასტიკი თავდასხმების ობიექტად იქცა.

დაკავებული თანამდებობიდან ელცინი იქვე ვერ გაათავისუფლეს პლენუმის საზეიმო დანიშნულების გამო. „არ შეიძლება და ახლა ამისთვის ჰრც გვცალია ამხანაგებო"-ო — ამ სიტყვებით დაამთავრა მიხეილ გორბაჩოვმა იმ სხდომის მუშაობა.

პარტიის ცკ-ს პლენუმზე ბორის ელცინის უპრეცედენტო გამოსვლა (ასეთი რამ, კომუნისტური პარტიის ისტორიას თითქმის არ ახსოვს) იმთავითვე სწორედ აღიქვეს სხდომის მონაწილეებმა. ეს იყო მანამდე ხელშეუხებელი კომუნისტური დიქტატურის კრახის პირველი სერიოზული ნიშანი. სწორედ ამიტომ, სავსებით გასაგებია ის გაგულისება, რომელიც პლენუმის მიმდინარეობის სტენოგრაფიულ ჩანაწერებში ჩანს (პლენუმის სტენოგრამა ყოველთვიურ „იზვესტია ცკ კპსს"-შია დაბეჭდილი). ამაში არაფერია გასაკვირი. გაოცებას, მხოლოდ და მხოლოდ ის გარემოება იწვევს, რომ განსაკუთრებული დაუნდობლობით იმათი სიტყვები გამოირჩევა, ვინაც დღეს, ლამის მსოფლიო დემოკრატიული და ჰუმანური მოძრაობის მედროშეებად გვევლინებიან.

მაგრამ, მოდით, კომენტარებს თავი დავანებოთ.

ფაქტები თავად მეტყველებენ ყველაფერზე.

სწორედ ამიტომ, ვგონებთ, მკითხველებისათვის ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს ზოგიერთი ჩანაწერი ამ სხდომიდან.

მაშ ასე.

მიხეილ გორბაჩოვის ანგარიშის შემდეგ, რომელიც საზეიმო მზადებას და აქედან გამომდინარე ქვეყნისათვის „გადაუდებელ" ამოცანებს ეხებოდა, სიტყვა განცხადებისათვის სხდომის თავმჯდომარეს — ეგორ ლიგაჩოვს, ბორის ელცინმა სთხოვა.

ბორის ელცინი — „...მე ყურადღების გამახვილება მინდა ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომელიც პოლიტბიუროში მუშაობის დროს დამიგროვდა.

თავიდანვე ვაცხადებ, რომ ბოლომდე ვეთანხმები იმ აზრს, რომ „პერესტროიკა" ძნელად მიმდინარეობს და ყველა ჩვენთაგანს დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობები ეკისრება.

ვთვლი, რომ გარდაქმნა, პირველ ყოვლისა, პარტიული კომიტეტებიდან, მთლიანად პარტიიდან, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოდან უნდა დაიწყოს. ეს ითქვა კიდეც სკკპ ცკ-ის ივნისის პლენუმზე.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თუმცა მას შემდეგ ხუთი თვე გავიდა, საქმიანობის სტილის თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა არც პარტიის ცკ-ს სამდივნოს და არც პირადად ამხანაგ ლიგაჩოვის საქმიანობაში.

...მე მაგალითად ძალიან მაღელვებს — პოლიტბიუროში არა გვაქვს ისეთი ვითარება, ბოლო დროს აშკარად გამოიკვეთა, მე ვიტყოდი, ზოგიერთი პოლიტბიუროს წევრის, პოლიტბიუროს მუდმივი წევრის, პირფერობა გენერალურ მდივანთან მიმართებაში. ვთვლი, რომ სწორედ ახლა ეს დაუშვებელია. სწორედ, ახლა, როდესაც ინერგება ყველაზე დემოკრატიული ფორმები, ერთმანეთთან პრინციპული დამოკიდებულებანი, ამხანაგური დამოკიდებულება და ამხანაგობა ერთმანეთთან.

ეს დაუშვებელია. პირდაპირი, დაუფარავი კრიტიკა, თვალი თვალში — ეს კი. ეს საჭიროა. მაგრამ არა პირფერობით გატაცება. რაც თანდათანობით, თანდათანობით ისევ ნორმად შეიძლება იქცეს. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. არ შეიძლება ამის დაშვება... და ბოლოს. (პაუზა) როგორც ჩანს, მე არ გამომდის პოლიტბიუროში მუშაობა. სხვადასხვა მიზეზთა გამო. როგორც ჩანს, გამოცდილებაც, სხვაც, არა მაქვს მხარდაჭერაც, განსაკუთრებით ამხანაგ ლიგაჩოვის მხრიდან.

მე ხაზს ვუსვამ, ყოველივე ამან მაიძულა თქვენს წინაშე დავსვა საკითხი თანამდებობიდან ჩემი განთავისუფლების შესახებ. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან. შესაბამისი განცხადება მე უკვე გადავეცი. რაც შეეხება პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნობას, ამას, ალბათ, პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმი გადაწყვეტს.

მიხეილ გორბაჩოვი — ალბათ უკეთესი იქნება, თუკი მე გავაგრძელებ სხდომის თავმჯდომარეობას.

ეგორ ლიგაჩოვი — დიახ, მობრძანდით, მიხეილ სერგის ძევ.

ამის შემდეგ, პლენუმის მიმდინარეობა, უკვე წაქცეულის ცემას უფრო წააგავდა, ვიდრე სხდომას.

ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ პარტიული ლიდერები და ყველა სიტყვას, ერთი საერთო ლაიტმოტივი გასდევდა წითელ ზოლად: ბორის ელცინი პოლიტიკურად ბეცი და მცდარია, მისი გამოსვლა პროვოკაციული ხასიათისაა და ღალატის ტოლფასი გახლავთ. ამდაგვარი რამ, ასეთი სერიოზული თანამდებობის პირმა როგორ გაბედაო და სხვა.

მკითხველს, უდაოდ დააინტერესებს ზოგიერთი, განსაკუთრებით ულმობელი შეტევის სტენოგრაფიული ჩანაწერი:

სერგეი მანიაკინი: — (სკკპ ცკ-ს წევრი. სსრკ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე) „ბორის ელცინმა, ფაქტიურად, პოლიტბიუროსთან თავის შეუთანხმებლობას გაუსვა ხაზი. ეს ფაქტიურად კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზთან შეუთანხმებლობაა. ვთვლი, რომ ამის მიზეზი. ბორის ელცინის პოლიტიკური მოუმწიფებლობა გახლავთ".

გიორგი არბატოვი: — (სკკპ ცკ-ს წევრი. აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი) „მე ვერ წარმომიდგენია ასეთი გამოსვლა მთელი იმ პერიოდის განმავლობაში რაც მახსოვს... მე ვფიქრობ, დღეს, ამხანაგმა ელცინმა სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს საერთო საქმეს".

ნიკოლაი რიჟკოვი — (სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი. სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) „უნდა განვაცხადო რომ, ამხანაგმა ბორის ნიკოლოზის ძე ელცინმა, ძალიან დიდი ბრალდება წამოაყენა პოლიტბიუროს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მისამართით. ასევე ვფიქრობ, რომ მან მეტისმეტად სერიოზული ბრალდება წამოუყენა ჩვენს საერთო ხაზს, პარტიის ხაზს... ჩემის აზრით, როგორც კი იგი (ბორის ელცინი — რედ.) მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში გადავიდა სამუშაოდ, პოლიტიკური ნიჰილიზმი განუვითარდა".

მაგრამ, ყველა ეს დაუსაბუთებელი და არასწორი შეფასება, ბავშვური თამაშია იმ სისასტიკესთან შედარებით, რომელიც პლენუმზე გამოსვლაში, ალექსანდრე იაკოვლევმა და ედუარდ შევარდნაძემ გამოიჩინეს ბორის ელცინის მიმართ.

კიდევ ვიმეორებ. ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ სამწუხარო ის გახლავთ, რომ ეს ორი პოლიტიკური მოღვაწე, დღესდღეობით, სწორედ იმდაგვარი პოლიტიკური აზროვნების წარმომადგენლებად იქცნენ, რომლის სრულიად საწინააღმდეგო მაგალითს 1987 წლის ოქტომბრის პლენუმი წარმოადგენს.

ამ სიტყვების სისწორეში მკითხველის დასარწმუნებლად, მოვიყვანთ ორივე ჩანაწერს მცირეოდენის შემცირებებით.

ალექსანდრე იაკოვლევი — (სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი. სკკპ ცკ-ს მდივანი) „ამხანაგო ცკ-ს წევრებო! ბორის ნიკოლოზის ძეს ალბათ ჰგონია, რომ აქ, პლენუმზე, თამამად და პრინციპულად გამოთქვა თავისი აზრი. სინამდვილეში კი, ჩემის აზრით, არც ერთია და არც მეორე.

და თუ ეს ასეა, მაშინ ელცინის გამოსვლა მცდარია პოლიტიკურად და შინაარსს მოკლებული ზნეობრივად.

მცდარია პოლიტიკურად იმ მიზეზით, რომ გამომდინარეობს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის არასწორი შეფასებიდან. იმ პრინციპული პოზიციების არასწორი შეფასებიდან, რომელზედაც პოლიტბიურო და ცკ-ს სამდივნო დგას. იმის არასწორი გაგებიდან, რაც სინამდვილეში ხდება ჩვენს ქვეყანაში.

ხოლო უზნეოა, ჩემის აზრით, იმიტომ, რომ ბორის ელცინმა თავისი პირადი ამბიციები, პირადი ინტერესები საერთო პარტიულზე მაღლა დააყენა... ბორის ნიკოლოზის ძევ, ჩემი შეხედულებით, დიდი მნიშვნელობის საქმე, რომელიც ახლა ხდება ჩვენს ქვეყანაში, თავის წვრილმან განაწყენებასა და ახირებაში აურია, რაც საერთოდ დაუშვებელია პოლიტიკური მოღვაწისათვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას ასეთი დიდი პოსტი უკავია და პარტიამ ამდაგვარი საქმე ჩააბარა.

რა თქმა უნდა, ძლიერ გულდასაწყვეტია, რომ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი ელემენტარულმა პანიკამ მოიცვა.

მე ამას, წვრილბურჟუაზიული განწყობილებების გადმოფრქვევას დავარქმევდი. ჩვენ კი, მხოლოდ და მხოლოდ სინანული დაგვრჩენია იმის გამო, რომ წვრილბურჟუაზიული განწყობილებები, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს აღმოაჩნდა.

რა თქმა უნდა, აქ პირადულმაც ითამაშა თავისი როლი. როგორც აქ უკვე ითქვა, ესაა ფსევდორევოლუციური ფრაზით გატაცება. ეს კი ყოველთვის უბინდავს მზერას პოლიტიკურ მოღვაწეს.

მაგრამ, მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ მან (ელცინმა — რედ.) ვერ გაიგო თუ რა ხდება ირგვლივ. ეს არის ჩემის აზრით ყველაზე მთავარი. ამის გარეშე კი, ძალიან ძნელია მუშაობა. მას ეს რევოლუციურობად მიაჩნია, სინამდვილეში კი ღრმა კონსერვატიზმი გახლავთ.

ედუარდ შევარდნაძე — (სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრი. სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი) „მე ვფიქრობ, ჩვენ მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან ძლიერი დოკუმენტი (შევარდნაძე მიხეილ გორბაჩოვის მოხსენებას გულისხმობს — რედ.)

ეს ჩვენი იარაღია (ე. ი. გენერალური მდივნის მოხსენება — რედ.)

აი, თქვენი დღევანდელი გამოსვლით კი, ბორის ნიკოლოზის ძევ, ბევრი რამ დააყენეთ ეჭვის ქვეშ.

მე არ მინდა ამ გამოსვლის დრამატიზირება მოვახდინო, მაგრამ არც მომხდარის გაუბრალოების სურვილი მაქვს. ჩვენ მართლაც ჩვენი განვითარების ურთულეს ეტაპზე ვიმყოფებით... აი, რატომ შემაძრწუნა მე იმან, რაც თქვენ თქვით. როგორი შეფასება მივცეთ ამას?

აქ გამოიყენეს სხვადასხვა ტერმინი, მაგალითად —კონსერვატიზმი, მე დავუმატებდი: პრიმიტივიზმი. მაგრამ ყველაზე მეტად —და ესეც, მე მგონი, კონცენტრირებული შეფასებაა — უპასუხისმგებლობა.

უპასუხისმგებლობა პარტიის, ხალხის, მეგობრების, კოლეგების, პოლიტბიუროს ამხანაგების წინაშე... ჩვენ ვიმყოფებით ყველაზე სერიოზულ ეტაპზე... მე არ მინდოდა ამ სიტყვების ხმარება. შეიძლება ეს ცოტა მკაცრად გამომივიდა, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია... აქ კი, რაღაც ამბიციები, რაღაც წყენა, რაღაც წვრილმანები.

არ მესმის, როგორ პირობებში ჩამოყალიბდა მსგავსი ფსიქოლოგია?

ყველაფერი მოწყვეტის შედეგია. ხაზს ვუსვამ — ჩვენი ცხოვრებიდან მოწყვეტის.

მე ვთვლი, რომ ეს არ არის უბრალო მოვლენა და უბრალო გამოსვლა. მაგრამ, თქვენ ვერ მოახერხებთ ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის გათიშვას. ვერ მოახერხებთ! (აპლოდისმენტები).

თქვენ ვერ შესძლებთ თავს მოგვახვიოთ სხვა სტილი. თქვენ ეს არ გაგივათ! ჩვენ არ ვუღალატებთ აღებულ კურსს, იმიტომ, რომ ვიწამეთ იგი და ბოლომდე ვუერთგულებთ მას. იმიტომ, რომ სხვა გზა არ არსებობს. სოციალიზმის წინაშე გადარჩენის პრობლემა დგას და ეს არ არის ჩემი სიტყვები. ეს გენერალურმა მდივანმა თქვა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით...

რა საფუძველი გაქვთ, ბრალდება წაუყენოთ ამხანაგ ეგორ კუზმას ძე ლიგაჩოვს? ამ დარბაზში ვის ეპარება ეჭვი, რომ ამხანაგი ლიგაჩოვი უკრისტალურესი პიროვნებაა? უმაღლესი მორალური და ზნეობრივი პრინციპების ადამიანია? იგი სულითა და გულით პერესტროიკის საქმის ერთგული გახლავთ.

ვფიქრობ, ასეთი ადამიანი ამ დარბაზში არ მოიძებნება. მე არ ვიცი (აპლოდისმენტები).

ახლა, პირფერობის შესახებ. იცით შეიძლება ამაღლებული სიტყვები კია, მაგრამ მართლაც ბედნიერებაა, რომ ჩვენს კოლექტივს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი ხელმძღვანელობს...

მე ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებმაც თქვენს გამოსვლას პოლიტბიუროს მისამართით ცილისწამება უწოდეს. ესაა ცილისწამება პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზეც.

როგორც სხვებს, მეც მიჭირს ლაპარაკი, მაგრამ არ შემიძლია ბორის ელცინის გამოსვლას უპასუხისმგებლო არ ვუწოდო.

ესაა უპასუხისმგებლობა ხალხის, მშობლიური პარტორგანიზაციის წინაშე, რომლის სახელითაც ის ამ ტრიბუნაზე გამოვიდა.

როგორც ხედავთ, ძვირფასო მკითხველებო, ბატონი ედუარდ შევარდნაძე ზუსტად ისეთი აღელვებით და ემოციურობით იცავდა **„უკრისტალურესს"**, **„უმაღლესი მორალური და ზნეობრივი პრინციპების"** ეგორ ლიგაჩოვს, **„პრიმიტიული"** და **„უპასუხისმგებლო"**, **„მოღალატე"**, და **„ცილისმწამებელი"** ელცინისაგან, როგორი აღელვებითაც სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე **„გადაეფარა"** დემოკრატებს თავისი პომპეზური და თეატრალური გადადგომით.

ზემოთ, ჩვენ ვწერდით, რომ მსოფლიოს დემოკრატიულ წრეებში, ედუარდ შევარდნაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თუმცა ეს განცხადებაც, შეიძლება ითქვას, კატეგორიული გახლავთ. დასავლეთში ბევრმა მშვენივრად იცის, თუ ვინ ვინ არის. ამის დასადასტურებლად, მკითხველებს, ერთ ციტატს მოვუყვანთ თვალსაჩინო სოვეტოლოგის, ამერიკელი პროფესორის, **აბდურახმან ავტორხანოვის** წიგნიდან **„კრემლის იმპერია"**, სადაც შესანიშნავად არის გახსნილი ბევრი ისეთი საკითხი, რაც დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

„კავკასიის ომთან საბჭოთა ისტორიკოსების დამოკიდებულება იმდენჯერ შეიცვალა, რამდენჯერაც თავად „გენერალური ხაზი". თავიდან შამილი, ისევე როგორც მარქსთან, „დიდი დემოკრატი" იყო, ხოლო კავკასიის დაპყრობა — ცარიზმის კოლონიალური ძარცვის მორიგი აქტი.

შემდეგ, შამილი რეაქციონერად და თურქეთის „შპიონადაც" კი იქცა, ხოლო კავკასიის დაპყრობა „მცირე ბოროტებად" გამოაცხადეს.

ბოლოს, ისტორიულ მეცნიერებაში გამოჩნდა ახალი მეცნიერი კავკასიიდან, რომელმაც აღმოაჩინა, რომ „მცირე ბოროტება" მაინც ბოროტებაა და კავკასიის დაპყრობა კი, ბოროტება კი არა „ისტორიული პროგრესი" ყოფილა. ეს ახალი მეცნიერული აღმოჩენა, დღესდღეობით ყველა დაპყრობილ ხალხზე ვრცელდება. სახელი ამ თეორიის ავტორისა მთელმა მსოფლიომ იცის — „შევარდნაძე". („კრემლის იმპერია", გვ. 88).

ის, რასაც ეს წერილი ეხება, იმდენად ნათელია, რომ კომენტარისაგან თავს ვიკავებთ.

მიუხედავად მთარული გამოთქმისა, პოლიტიკა, და მით უმეტეს დიდი პოლიტიკა მაინც სუფთა ხელებითა და სინდისით კეთდება, რისი ნათელი დასტურიც ამის ზნეობრივი გამარჯვებაც გახლავთ სპარსეთის ყურის კონფლიქტში.

ყოველ შემთხვევაში, ნორმალურ და ცივილიზებულ ქვეყნებში მაინც.

„საქართველოს რესპუბლიკა".

შიდა ქართლი

ცხინვალი: დაპირისპირება გრძელდება

7 მარტს, ნაშუადღევს, როცა ცხინვალის ქართული მილიციის შტაბში მივედით, შევიტყვეთ, რომ ნახევარი საათის წინ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა და გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებთა მეცადინეობით მოიგერიეს ოს ექსტრემისტთა მორიგი შეიარაღებული თავდასხმა.

ამჯერად თავდასხმა მოხდა სოფელ ხხიანთუბნის მხრიდან. ბანდიტები ცეცხლს უშენდნენ ქართული სოფლების აჩაბეთისა და მონასტრის მცხოვრებლებს. მოუკლავთ ყოვლად უდანაშაულო ტარიელ ხეთაგაშვილი — ცხინვალის რაიონის სოფელ სვერის მცხოვრები.

— დილის ცხრა საათი იწყებოდა, — გვითხრა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ვალერიან თორელმა, — როცა ჩვენს საგუშაგოზე თამარაშენში ზემო აჩაბეთიდან ავტომატური იარაღის სროლის ხმა მოგვესმა. ოპერატიულად შექმნილი ჯგუფი ათი კაცის შემადგენლობით მაშინვე გაეშურა იქითკენ. იძულებული გავხდით შვიდი კილომეტრი მანქანით გაგვევლო, შემდეგ კი ორი კილომეტრი ქვეითად. ბრძოლის ადგილას მხოლოდ ცხრის ნახევარზე მივაღწიეთ. ძალიან გაგვიჭირდა თოვლისა და უგზოობის გამო. და რა ვნახეთ? თავით ფეხთამდე შეიარაღებული ოსები თავიანთი სოფლების მხარეს იხევდნენ, იერიში უკვე მოეგერიებინათ თანასოფლელ ქართველებს. ჩვენმა ჩარევამ ხელი იმას შეუწყო, რომ ორივე მხარემ სროლა შეწყვიტა. გაქცეულმა ოსმა ექსტრემისტებმა დატოვეს რაკეტგამშვები მოწყობილობა საბრძოლო აღჭურვილობითურთ, გრანატსატყორცნი, ავტომატები, კარაბინები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი.

— ასეთი ამბები, — თქვა ცხინვალის კომენდანტმა გივი კვანტალიანმა, — ქართველებისთვის ჩვეულებრივი ვერ იქნება. დამერწმუნეთ, ყოველივე ამის თავიდან აცილება ჯერ კიდევ სამი თვის წინათ შეგვეძლო, როცა ჩვენი მილიციის ქვეგანაყოფები ქალაქში შევიდნენ. ჩვენ ხომ ვიცოდით ყველა ექსტრემისტის მისამართი და შეგვეძლო მათი ნეიტრალიზაცია სამი-ოთხი დღის განმავლობაში. მაგრამ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების აქ ყოფნა აფერხებდა ჩვენს მოქმედებას და თანდათანობით ოს ექსტრემისტთა ცოცხალი სამიზნეები ვხდებოდით. ამიტომაც იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა ქალაქი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის შინაგანი ჯარების დივიზიის უფროსი, მილიციის გენერალი ნიკოლოზ სკრიპნიკი ჩემთან ტელეფონით საუბრებისას მეთანხმება ყველა წამოჭრილ მწვავე საკითხში... სინამდვილეში კი, სამწუხაროდ, მისი ხელქვეითების მოქმედება ხშირად საწინააღმდეგოს მოწმობს.

სწორედ ამიტომ ჩვენთვის — კორესპონდენტებისათვის — საინტერესო იყო მოვხვედრილიყავით ცხინვალში მდებარე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ვითარების შტაბში. როგორც ცნობილია, ქართველი ჟურნალისტები მათი ხშირი სტუმრები როდი არიან, და, რაგინდ საკვირველიც უნდა იყოს, ამ შტაბის ორი უფროსი ოფიცერი დათანხმდა თან წავეყვანეთ. მათთან ერთად მოვხვდით კიდეც ცხინვალის ყოფილი ტურბაზის ტერიტორიაზე, სადაც ახლა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები არიან განლაგებული.

ჩვენ მაშინვე წარგვადგინეს ვლადიმერ ჟაბკოსთან — ცხინვალში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფის უფროსთან, რომელმაც ახლახან აქ შეცვალა პოლკოვნიკი ვალერი პუზირნი. საგანგებო დავთარში გაატარეს ჩვენი სამსახურებრივი მოწმობები, ჩაიწერეს მისამართები და ტელეფონები. ვ. ჟაბკომ ბოდიში მოგვიხადა მოუცლელობის გამო და ჩვენი თავი „გადაულოცა" პოლკოვნიკ არკადი პრონინს — ცხინვალში ამჟამად დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ჯგუფთან არსებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელს და პოლკოვნიკ ანატოლი სერედას — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის წარმომადგენელს, აგრეთვე სპორტულ ფორმასა და პალტოში გამოწყობილ ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდას, რომელსაც თავისი გვარი არ უთქვამს და გაგვეცნო, როგორც ინჟინერი.

თავიანთი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი გამოთქვეს არკადი პრონინმა და ანატოლი სერედამ.

პოლკოვნიკი არკადი პრონინი:

— ჩემი აზრით, სამხედროები აქ იმავე ამოცანას ასრულებენ, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოებს უნდა შეესრულებინათ. მაგრამ, რაკი მათ ვერ შეძლეს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა პოლიტიკურ აზრთა, მიმდინარეობათა და მოძრაობათა არსებული მრავალფეროვნების გამო, წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრა იკისრეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებმა, რომლებიც თბილისში არიან დისლოცირებული.

თავად აქ დიდი ხანი არ არის რაც ვარ, ორ მარტს ჩამოვედი. როგორც შევიტყვე, არმიაში ამ დროის მანძილზე დაღუპული ოფიცრები და ჯარისკაცები არ არიან. მაგრამ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენს სამხედრო ქალაქს სამჯერ დაუშინეს ცეცხლი სტადიონის მხრიდან. ცეცხლს გვიშენდნენ სასაფლაოს და მთების მხრიდანაც.

ჩემი პირადი აზრია — შინაგანი ჯარები და არმია ვერ გადაწყვეტენ აქაურ კონფლიქტს. ეს მათი ამოცანა არ არის. არმიის ფუნქციაა ქვეყნის დაცვა გარეშე მტრისაგან. შინაგან ჯარებს კი შეუძლიათ ჩაერიონ ამგვარ ინციდენტებში. მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ კონკრეტულად იქნება დასმული ამოცანა, როცა გამოცხადებულია საგანგებო ვითარება. პოლიტიკურ პროცესებში კი მათ უფლება არა აქვთ ჩაერიონ.

პოლკოვნიკი ანატოლი სერედა:

— სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ცხინვალში ეხმარება როგორც საქართველოს, ისე ოსეთის (? — რედ.) შინაგან საქმეთა ორგანოებს. აქ, უწინარეს ყოვლისა, ხალხების — ქართველი და ოსი ხალხების უბედურებას ვხედავ. მე მგონია ამჟამად კონფლიქტის თავდაპირველი მიზეზების ძებნას აზრი არა აქვს. ჯერ საჭიროა შერიგება, თუნდაც ერთი პრობლემის გამო. არადა, ეს პრობლემები ხომ საკმაოდ ბევრია. მაგრამ, ვფიქრობ, მთავარია ვიხელმძღვანელოთ ნულოვანი მომენტიდან, ესე იგი 1918 წლიდან, როცა საქართველომ შეიძინა პოლიტიკური მთლიანობა და დამოუკიდებლობა მოიპოვა. ჩემი აზრით, ნებისმიერი ეროვნული უმცირესობის კულტურული ავტონომია მათი აყვავების გარანტია, ოსთა ასეთი უფლებები კი სამაჩაბლოში გარანტირებულია. ცხინვალელ ოსებთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულ ოსთა ამასწინანდელ შეხვედრას შედეგი არა ჰქონია...

გაგვიმართლა და სამხედროთა დახმარებით ტელეფონით დავუკავშირდით რევაზ (გერასიმე) ხუგაევს — ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს. მან ჩვენთან შეხვედრა არ მოისურვა არც თავისთან, არც სამხედროთა შტაბში. მაგრამ, აი, რა გვითხრა:

— ქართველ ხალხს ჩვენ, ოსები არაფერს არ ვერჩით. სამხედროები ნეიტრალურ პოლიტიკას ადგანან, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს ჩვენს ურთიერთობას. მოლაპარაკების მაგიდას ორივე მხრიდან ფხიზლად მოაზროვნენი უნდა მიუსხდნენ. ეს არის მთავარი.

სხვა არაფრის მოსმენას არც ველოდით რ. ხუგაევისგან. სიტყვით იგი ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის დამცველია, მაგრამ საქმით?.. დღე არ გაივლის, რომ ოსი ექსტრემისტები თავს არ დაესხნან ქართულ სოფლებს სამაჩაბლოში. და ყოველივე ეს კეთდება წინასწარ მოფიქრებული გეგმით. რა ადამიანის უფლებების დაცვაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?! რა თქმა უნდა, ჩვენი აზრით, შიდა ქართლში შექმნილ საგანგებო სიტუაციას ეროვნებათაშორისი ფესვები კი არა, პოლიტიკური სარჩული აქვს, რაც კრემლის, ცენტრის მიერ არის ნაკარნახევი. სინანული უნდა გამოვთქვათ იმის გამო, რომ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა აჰყვა ექსტრემისტთა პროვოკაციას. საგანთა ლოგიკა, ისტორიული სამართლიანობა გვკარნახებს წარუვალ ჭეშმარიტებას: საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური რუკა არ გადაკეთდება.

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

◆

სამაჩაბლოში კვლავ დაძაბული ვითარებაა. 11 მარტს დილას ცხინვალში, რევოლუციის ქუჩაზე ოსმა ექსტრემისტებმა მოკლეს ადგილობრივი მცხოვრები ზოზიაშვილი.

ამავე დღეს საქართველოს მილიციის მუშაკებმა ყორნისიდან სამშვიდობოზე გამოიყვანეს ქორა და გრიგოლ თხელიძეების ოჯახები. მათ წინა დღეს თავს დაესხნენ ოსი ექსტრემისტები, სცემეს და აუწიოკეს ცოლ-შვილი. 10 მარტს ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში მათ სროლა აუტეხეს საქართველოს მილიციის პატრულს და დაჭრეს მილიციის თანამშრომლები ზურაბ წამალაშვილი, დავით ბარათაშვილი, ვეფხია ჩიფჩიური და ბესიკ თამაზაშვილი, რომლებიც გორის საავადმყოფოში მოათავსეს.

საქართველოს რესპუბლიკის შსს პრესცენტრი,
საქინფორმი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში პარტიული სიების წარდგენის ვადა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააგრძელა 12 მარტის 18 საათამდე, პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ვთხოვთ პარტიული სიის წარდგენისთანავე დეპუტატობის კანდიდატები გაანაწილონ საარჩევნო ოლქების მიხედვით.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა რამდენადმე დაგვიანებით დაიწყო. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ხმალაძემ, რომელმაც განმარტა მიზეზი, თქვა, რომ იურიდიული ჯგუფი სასწრაფოდ უნდა გარკვეულიყო საარჩევნო კანონის უხეში დარღვევის თაობაზე ახლახან შემოსულ სიგნალში.

როგორც გამოირკვა, უკვე სხდომაზე ამ საკითხის განხილვის დროს მისი არსი ის ყოფილა, რომ მილიციამ დუშეთის რაიონში დააკავა, გაჩხრიკა და დაკითხა ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც უკვე რეგისტრაციაში იყო გატარებული, ასეთ შემთხვევებში შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისიის სავალდებულო თანხმობის გარეშე. აღმოჩნდა, რომ შინაგან საქმეთა მუშაკებმა დაარღვიეს დეპუტატობის მანდატის პრეტენდენტის ხელშეუხებლობა და ასრულებდნენ ამასთან სამხედროთა ნებას, რომლებმაც ეჭვი მიიტანეს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა მონღოლეთის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს. მართალია, გარკვეული დროის შემდეგ დეპუტატობის კანდიდატი გაანთავისუფლეს, მაგრამ მხოლოდ ხელწერილით. მისცა რა პრინციპული შეფასება მომხდარ ამბავს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვიტა თხოვნით მიემართა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორისათვის ოპერატიულად გარკვეულიყო ამ საქმეში.

პრაქტიკულად თავის ყოველ სხდომაზე კომისია ისმენს ტერიტორიული საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს. ეს, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს მას ნიადაგ გრძნობდეს წინასაარჩევნო კამპანიის მაჯისცემას, ფლობდეს სიტუაციას ადგილებზე, მეორე მხრივ კი შესაძლებლობას აძლევს არჩევნების უშუალო ორგანიზატორებს გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, ოპერატიულად დასვან საკითხები და გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები. ბოლო დროს ეს ანგარიშები შეიცავენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის არა მარტო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნებისათვის, არამედ იმავე დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული რესპუბლიკური რეფერენდუმისათვის მზადება. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საქართველოსთვის ამ ორი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენისთვის მზადება, ამჯერად დამსწრეთ მოახსენეს ექვსი ტერიტორიული საარჩევნო კომისიის — ფოთის, ჭიათურის, წყალტუბოს, ახალციხის, მარტვილისა და ბორჯომის კომისიების თავმჯდომარეებმა. თუ მათი ანგარიშების მიხედვით ვიმსჯელებთ, ორივე კამპანია ორგანიზებულად მიმდინარეობს. ყველგან შექმნილია საარჩევნო ოლქები და უბნები, დადგენილ ვადაში გატარდნენ რეგისტრაციაში საარჩევნო ბლოკები და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები, დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები. წინასწარი მონაცემებით, დეპუტატის მანდატისთვის მეტად მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი. მაგალითად, ქალაქ ფოთში 31 მანდატზე 210 პრეტენდენტია. არანაკლები კონკურენციაა ყოველი მანდატისათვის ჭიათურაშიც, სადაც ცალკეულ საარჩევნო ოლქებში ყოველი მანდატისათვის 8-9 დეპუტატობის კანდიდატი იბრძვის. ამ ექვსივე რეგიონში გეგმაზომიერად ემზადებიან რეფერენდუმისთვისაც. იმავე ფოთში, მაგალითად, ტერიტორიულმა საარჩევნო კომისიამ იზრუნა გამოეშვა გაზეთი რუსულ ენაზეც, რომელიც აცნობს მკითხველებს როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მომავალი არჩევნების, ისე რეფერენდუმის მიზნებსა და ამოცანებს. სხვათა შორის, ფოთის სანაოსნო შორეულ ნაოსნობაში მყოფ გემებზე შექმნილმა ათივე საარჩევნო უბანმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი გემებზე რეფერენდუმის მოწყობის საკითხებს.

ამავე დროს, ამ მნიშვნელოვანი კამპანიებისთვის ადგილებზე მზადებაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. კერძოდ, სხდომაზე საფუძვლიანი მსჯელობის საგანი გახდა საკითხი, რომელიც დასვა ლენტეხის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ ლიპარტელიანმა ცალკეული ამომრჩევლების კენჭისყრის წესის შესახებ. საქმე ის არის, რომ 1986-1987 წლებში ამ რაიონში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ, გადაწყდა მისი მოსახლეობის მეტი ნაწილი გადაესახლებინათ რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. დღეისათვის ბევრი უკვე გადასახლდა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თუმცა ამოეწერენ რაიონიდან, მაგრამ კვლავ იქ ცხოვრობენ, რადგან ჯერჯერობით ვერ მოეწყვნენ ახალ ადგილას და არც ჩაწერილი არიან იქ. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: სად მისცენ მათ ხმა? საინტერესოა, რომ ასეთივე კითხვა დასვა სხდომაზე სრულიად საქართველოს ორგანიზაციის „ლემის" გარდაბნის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ უჩა ხარძიანმა. ამ რაიონში, სადაც ახალმოსახლეობა იზეიმეს ლენტეხიდან პირველმა გადმოსახლებულებმა, ელიან დანარჩენებსაც, რომლებისთვისაც დიდი სოფელი შენდება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ შექმნილი სიტუაციის მთელი სირთულე, ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ აქ, ისევე როგორც ყველგან, უნდა მოქმედებდეს კანონი, რომელიც ცხადყოფს, რომ ამომრჩეველთა სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს შესაბამისი საკრებულოს დაქვემდებარების ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდათ 18 წელი, სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება.

სხდომაზე დაისვა ისეთი საკითხები, როგორიც არის საარჩევნო უბნების აღჭურვა, მათი ქსოვილით, ქაღალდით, საიმედო სატელეფონო კავშირით, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონის ტექსტის შემცველი ბროშურებით უზრუნველყოფა. უნდა ითქვას, რომ ყველა ეს საკითხი, რომლებსაც კონტროლს უწევს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ახლა პრაქტიკულად უკვე წყდება. ეს დაადასტურეს როგორც თვით მისი ხელმძღვანელების, ისე რესპუბლიკის ცალკეული უწყებების სხდომაზე მოწვეული წარმომადგენლების ავტორიტეტულმა განცხადებებმა. სხვათა შორის, მალე ქალაქებსა და სოფლებში, უბნებში, სადაც ეწყობა რეფერენდუმი, გაჩნდება პლაკატი 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტით, ამასთან სხვადასხვა ენაზე, რომელიც სპეციალურად მზადდება და რომლის საფუძველზე მისმა მონაწილეებმა უნდა უპასუხონ ერთადერთ კითხვას: თანახმანი არიან თუ არა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა.

საქინფორმი.

სომხეთის ინტელიგენციის ხმა

თბილისში მცხოვრები სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა მიიღეს მიმართვა აფხაზეთში მცხოვრებ სომხებისადმი, რომელშიც მოუწოდებენ არ აჰყვნენ ცალკეული ექსტრემისტების პროვოკაციებს, რომლებიც აღვივებენ სიძულვილს მშობლიური საქართველოსადმი, და უარი თქვან საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე, რომელიც მიმდინარე წლის 17 მარტს უნდა გაიმართოს.

მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარე ბენიკ სეირანიანი, თბილისის სომხური დრამის თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწე მიქაელ გრიგორიანი, ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი რაფაელ ჩიმიშკიანი, თბილისის № 104 სომხური სკოლის გამგე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი მხითარ ბაღდასარიანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ელენე მისკარიანი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის არმენოლოგიის კათედრის გამგე დოცენტი იმა ახტიანი და სხვები, ნათქვამია, რომ დღეს ყველა სომეხმა, რომელიც ქართულ მიწაზე თბილად და მყუდროდ ცხოვრობს, უნდა შეიგნოს მარტივი ჭეშმარიტება: უნდა გავუფრთხილდეთ ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას, გავაათკეცოთ ძალები ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლაში. ყველა სომეხმა უარი უნდა თქვას 17 მარტის რეფერენდუმზე და 31 მარტს ქართველებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ რეფერენდუმში, გამოთქვას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მტკიცე სურვილი.

„ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რაოდენ ძნელ და რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, — ნათქვამია აფხაზეთში მცხოვრები სომხებისადმი მიმართვაში, — მაგრამ გვწამს თქვენი გონიერებისა, მისწრაფებისა, რომ მუდამ და ყველაფერში გსურთ საქართველოსთან იყოთ... ამიტომ ხვალინდელი დღის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით მოგიწოდებთ: ხმა მიეცით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას".

საქინფორმი.

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" რედაქტორს ე. ვ. იაკოვლევს

პატივცემულო ბატონო ეგორ!

თქვენი გაზეთის 1991 წლის 3 მარტის მე-9 ნომერში, სტატიაში, რომელსაც ხელს აწერენ ა. მიქაძე და ტ. იახლაკოვა და რომლის სათაურია „თეთრი ბედაური — საით? თბილისის ამბები: რა იმალება კადრს უკან" — დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები. ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებდით ამ შეცდომებზე, პრინციპული ხასიათისა რომ არ იყოს.

ჯ. იოსელიანი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი არ არის და ლექციებს არ კითხულობს ჩვენს სასწავლებელში.

ბოლო ხანს იგი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ტერიტორიაზე მიტინგებში მონაწილეობდა „მხედრიონის" სახელით.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ თქვენმა გაზეთმა, რომელსაც სერიოზული და ავტორიტეტიანი გამოცემის რეპუტაცია აქვს, რედაქციისთვის მოსახერხებელი ფორმით, ამცნოს მკითხველს დაშვებული შეცდომა.

ნ. ხ. ამაღლობელი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სსრკ სახალხო დეპუტატი.

სიტყვა—ყველას

რა უდევს საფუძვლად ამდენ ცილისწამებას?

არავითარი სურვილი არ მქონდა, პირადად შეპასუხება ბატონ ნუგზარ მოლოდინაშვილის აბსურდულ ცილისწამებაზე, რომელიც მან წამოიყენა 23 თებერვალს პროგრამა „მოამბეში", მაგრამ, რადგანაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილში (27.02. 91) იგი კვლავ მორიგ დეზინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, იძულებული ვარ მკითხველს მივაწოდო აუცილებელი განმარტება.

ბატონი მოლოდინაშვილი ამტკიცებს, რომ მის მიერ ჩემდამი წაყენებული ბრალდება დიდი ხანია დადასტურებულია (საკითხავია, ვის მიერ?!) და თითქოს მე განვაცხადე, რომ დავაბრუნებდი აღნიშნულ თანხას.

როგორც უკვე დაიწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იმავე ნომერში, ეს თანხა ბატონების — ზვიად გამსახურდიას, ირაკლი წერეთლის, ავთანდილ რცხილაძის, თეიმურაზ სუმბათაშვილისა და სხვა პირთა თანდასწრებით გადაეცა მონარქისტული პარტიის თავმჯდომარეს ბატონ თემურ ჟორჟოლიანს და იმ დღიდან მე მასზე მოხსნილი მქონდა ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

ბატონ ნუგზარ მოლოდინაშვილთან კი ჩვენ ამ საკითხზე არასოდეს გვისაუბრია, რადგან მაშინ, როცა ეს საკითხი წყდებოდა, ბატონი მოლოდინაშვილი მხოლოდ პირადი დაცვის ერთ-ერთი რიგითი წევრი გახლდათ და მას ასეთ საქმეებზე, უბრალოდ, ხელი არ მიუწვდებოდა. მისი წერილიდანაც ჩანს, რომ ამ საქმეზე ინფორმაცია სხვისგან აქვს მიღებული. ასეთი გზით მიღებული ინფორმაციის საჯაროდ ბრალდებად წამოყენება თუ რამდენად კანონიერია, ამაზე ცოტა მეტად უნდა იფიქროს საკანონმდებლო და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ.

რაც შეეხება მოლოდინაშვილის განცხადებას, თითქოს იმ ღირსების სასამართლოზე მისვლა, სადაც იქნებიან ბატონები ირაკლი წერეთელი, თეიმურაზ სუმბათაშვილი, თემურ ჟორჟოლიანი და სხვები, „მისი საკუთარი ღირსების შეურაცხმყოფელია", ეს უბრალოდ ღიმილის მომგვრელია და მხოლოდ ერთ კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას ადასტურებს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ღირსების სასამართლოზე უარის თქმით ბატონი მოლოდინაშვილი და ისინიც, ვინც მასში მონაწილეობას თავს არიდებენ, თავის თავს ფაქტობრივად ეროვნული მოძრაობის გარეთ აყენებენ. ჩვენ მივესალმებით ამას, რადგანაც ამით ისინი „დეიურედაც" აღიარებენ თავიანთ მდგომარეობას.

ბატონი მოლოდინაშვილი დიდგულად გვიწვევს საბჭოთა სასამართლოში (რომელსაც დღეს ეროვნულს უწოდებენ) სიმართლის გასარკვევად და ესეც იმიტომ, რომ კარგად მოეხსენება, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია თავისი პოლიტიკური და რაინდული პრინციპებიდან გამომდინარე ასეთ ქმედებას არასოდეს მიმართავს, მაგრამ, ვინაიდან მე ძალზე დაინტერესებული ვარ, საზოგადოებამ სიმართლე იცოდეს და რადგანაც პირად ღირსებას უპირველეს ღირებულებად მივიჩნევ, ჩემი პოლიტიკური პრინციპების დაურღვევლად გამოვნახავ საშუალებას და მივმართავ თუნდაც ასეთ სასამართლოს ჭეშმარიტების დასადგენად და ცილისმწამებელთა გამოსააშკარავებლად.

მე ეჭვი მეპარება, მერაბ კოსტავას ფონდის ზოგიერთი წარმომადგენელს და ბატონ მოლოდინაშვილს ხაზინის ქურდობა დანაშაულად მიაჩნდეს, ეჭვს ისიც განამტკიცებს, რომ ჩემთვის აქამდე არავის უჩივლია არც საბჭოთა და არც „ეროვნულ" სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედება არ ეწინააღმდეგება ხსენებულთა მორალურ პრინციპებს. ამ ეჭვების გასაფანტავად მოვუწოდებ, აღძრან სარჩელი ჩემს წინააღმდეგ, თუნდაც იმიტომ, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის მიხედვით მე კი არ უნდა ვამტკიცო ჩემი უდანაშაულობა, არამედ ბატონმა მოლოდინაშვილმა დამიმტკიცოს დანაშაული.

ჩემი „თხოვნაა", ნუ გადადებენ ამ ისედაც გაჭიანურებულ საქმეს, მით უმეტეს ნებისმიერი სასამართლოს მოწვევაზე ხელი ნამდვილად მიუწვდებათ. ამავე დროს, აუცილებელ პირობად ვაყენებ ღია სასამართლო პროცესის ჩატარებას და მასში პრესისა და ტელევიზიის მუშაკების მონაწილეობას.

იმედია, საკანონმდებლო და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ხელს შეუწყობს ამ პროცესის უმოკლეს ვადებში ჩატარებას.

თორნიკე ფიფია
28. 02. 91 წ.

P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო როდესაც გამოქვეყნდა მონარქისტული პარტიის განცხადება („საქართველოს რესპუბლიკა" 2. 03. 91), სადაც დადასტურებულია, რომ მე აღნიშნულ თანხასთან არავითარი კავშირი არა მაქვს. ჩვენი ვარაუდი კი სავსებით გამართლდა: როგორც მონარქისტული პარტიის განცხადებაზე რედაქციის მინაწერიდან ჩანს, ცილისმწამებელთა ჰორიზონტზე გამოჩნდა უზენაესი საბჭოს არანაკლებ მნიშვნელოვანი კომისიის თავმჯდომარე ბატონი ვაჟა ადამია, რომელიც, ისევე როგორც ბატონი ნუგზარ მოლოდინაშვილი, არ დასწრებია აღნიშნული თანხის გადაცემას. განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია, ჩვენ კი მთლიანად ვეთანხმებით რედაქციის აზრს, იმ მინაწერიდან.

რედაქციისაგან: დავიღალეთ! ჩვენც და მკითხველიც დავიღალეთ. ამ საკითხზე გამოხმაურებებს არც უნდა ვბეჭდავდეთ, მაგრამ ანგარიში გავუწიეთ იმას, რომ საქმე პიროვნულ ღირსებას ეხებოდა. მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს თავისი საზღვარი. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ასეთი საქმეები რედაქციაში, გაზეთის ფურცლებზე არ უნდა ირჩეოდეს.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიმართვა საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციისადმი

მამულიშვილნო!

ამჟამად საქართველო იმყოფება თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ გარდამტეხ და ურთულეს ეტაპზე. ყველა ჩვენგანს კარგად უნდა გვქონდეს შეგნებული ის ჭეშმარიტება, რომ დღეს და უახლეს მომავალში საქართველოს მიერ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ერის ისტორიული განვითარების პერსპექტივისათვის.

რუსეთის მოდერნიზებული იმპერია, მიუხედავად იმისა, რომ აშკარა ეკონომიკური დაცემისა და უდიდესი სოციალური ძვრების წინაშეა, მაინც ჯიუტად ებღაუჭება დაპყრობილ ერებს და სურს ჩაითრიოს ისინი აუცილებლობით გამოწვეულ კატასტროფაში, რომლის შესაძლო შედეგები შეიძლება დამღუპველი გამოდგეს საქართველოსათვის.

უკანასკნელ წლებში ჩვენს სამშობლოში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართო სპექტრში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ყოველთვის გამოირჩეოდა არა მარტო თავისი შეურიგებელი რადიკალური და უკომპრომისო პოზიციით დამპყრობლისადმი, არამედ ყოველთვის ცდილობდა, რომ ეს მოძრაობა ყოფილიყო ერთიანი, მტკიცე შეკრული და მიმართული საერთო მტრის წინააღმდეგ, რამეთუ საქართველოს მომავალს ჩვენ ყოველთვის მოვიაზრებდით როგორც პლურალისტურ, დემოკრატიულ, რესპუბლიკურ სახელმწიფოს. ამის დასტურს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის აქტიური მონაწილეობა ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის შექმნაში 1989 წლის აპრილში, ასევე ჩვენი ინიციატივით 1990 წ. 13-15 მარტს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი საგანგებო კონფერენციის მოწვევა, რომელიც დაგვირგვინდა ეროვნული ფორუმის შექმნით. მას შემდეგ, რაც რიგმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დატოვეს ეროვნული ფორუმი და მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში, სედპ კვლავ გამოვიდა ინიციატივით, რათა მომხდარიყო ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს მუშაობის კოორდინაცია; ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ცდაც მარცხით დასრულდა.

დღეს ძალზე უჭირს საქართველოს. ისტორიულ შიდა ქართლში ოსი სეპარატისტებისა და ექსტრემისტების მიერ იღვრება ქართველთა სისხლი, 10 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე საკუთარ სამშობლოში ლტოლვილადაა ქცეული, კრემლის კარნახით დამპყრობლობის ესკალაციის ნიშნები იგრძნობა აფხაზეთშიც, ხოლო სსრკ-ის პრეზიდენტი უკვე აშკარა და შეუნიღბავ მუქარასაც აღარ ერიდება ე. წ. ურჩი რესპუბლიკებისადმი. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ზოგიერთ პოლიტიკურ ორგანიზაციათა მეტად მწვავე ურთიერთდამოკიდებულება, ბევრსაც ნეიტრალური, ლოდინის პოზიცია უკავია, რაც გამართლებულად არ მიგვაჩნია.

ამიტომ, საქართველოს უზენაესი მიზნებიდან გამომდინარე, უქლებლივ ყველა პოლიტიკურ პარტიას და ორგანიზაციას მოვუწოდებთ უახლოეს დღეებში, ყველასათვის ხელმისაწვდომ დროსა და ადგილზე მოხდეს ჩვენი შეხვედრა, რათა შექმნილ სიტუაციაში ჩვენ-ჩვენი პოზიციების შეუცვლელად თუ კონსენსუსის მიღწევა არა, იმ აუცილებელი კოორდინაციის მექანიზმის შემუშავება მაინც მოხერხდეს, რომელიც გამორიცხავს უაზრო დაპირისპირებებს და შუღლს, რომელმაც შეიძლება ჩიხში შეიყვანოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

01. 03. 91.

რედაქციისაგან: ქაღალდის დეფიციტის გამო წელს ჩვენი გაზეთი კვირაში ექვსის ნაცვლად ხუთჯერ გამოდის. გაზეთში თავს იყრის ბევრი ოფიციალური, გადაუდებელი მასალა. ამიტომ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, კავშირების განცხადებების დაბეჭდვას მაქსიმალურად მოვერიდებით. გთხოვთ, ამ მიზნით გამოიყენოთ სხვა გაზეთები.

საზღვარგარეთ

ხალხი დახოცილია, დამნაშავენი კი არ არიან...

7 მარტს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს მე-6 სესიაზე საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა ნიკოლოზ ტრუბინმა დელეგატებს მოახსენა პროკურატურის დასკვნა თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ტრუბინის აზრით, არ არის საფუძველი დანაშაულებრივი ქმედებისა იმ სამხედრო პირების მხრივ, რომლებიც აღნიშნულ ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ. ამის გამო საბჭოთა კავშირის პროკურატურამ საქმე შეაჩერა.

თბილისში 9 აპრილს წითელი არმიის ხელბარებით და მხუთავი გაზებით 19 ადამიანი დაიღუპა, აქედან 16 ქალი იყო. მოწამლულია ათასობით ადამიანი. საბჭოთა კავშირის პროკურატურას რომ შეეძლოს ხალხის მკვლელობის ფაქტის დაფარვა, მაშინ მისი დასკვნა უფრო შეწონასწორებული იქნებოდა. ახლა კი რა გამოდის, ხალხი დახოცილია, დამნაშავენი კი არ რაიან.

უკვე საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ გამოჰყო კომისია თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით სობჩაკის ხელმძღვანელობით. მასში 24 კაცი შედიოდა, მათ შორის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი გოვოროვი. მე-2 ყრილობას სობჩაკის კომისიამ მოახსენა დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის ტრაგედიაში ბრალი ედებათ თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს კოჩეტოვს, ამიერკავკასიის ჯარების მაშინდელ მთავარსარდალს როდიონოვს და შინაგანი ჯარების უფროსს ეფიმოვს. იმავე სხდომაზე სამხედრო პროკურატურის დასკვნით გამოვიდა გენერალი კატუსევი.

მისი სიტყვებით ისე გამოდიოდა, რომ თბილისში მიტინგის მონაწილეებმა თავიანთ რიგებში ვერაგულად შეიტყუეს საბჭოთა არმიის მეომრები, სპეციალურად მოაწყვეს ხალხის ჭყლეტა და დახოცეს თავისიანები. ასეთი აბსურდის მოსმენის შემდეგ ყრილობის დელეგატთა დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. მაშასადამე, უკვე მაშინ, 1989 წლისათვის არმიისა და პროკურატურისათვის „ცხადი" იყო, რომ საბჭოთა არმია ქართველების მსხვერპლია. თუკი ეს მაშინვე მათთვის ნათელი იყო, რაღა ახლა გამოაცხადეს თავიანთი დასკვნა, რას აკეთებდა პროკურატურა მთელი წლის განმავლობაში?

პასუხი ერთია: საბჭოთა კავშირის პროკურატურა დროს აჭიანურებდა. მაშინ ქვეყანაში ელემენტარული დემოკრატიის ეიფორიული სულისკვეთება სუფევდა. შემდეგ პერიოდში პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში რადიკალურად შეიცვალა. იგი მარჯვენივ გადაიხარა. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება გორბაჩოვის მეთაურობით რეაქციონერებს მიემხრო, რამაც საბჭოთა არმიის პოზიციები შეამაგრა. ამავე დროს თბილისში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ანალოგიური უბედურება არმიამ ბაქოში, ვილნიუსსა და რიგაშიც მოაწყო. თბილისის საქმის შეწყვეტით კი ავტომატურად წყდება ამ ქალაქებში სისხლიღვრის გამოძიებაც.

ნიკოლოზ ტრუბინის დასკვნის მოსმენის შემდეგ ყველასთვის ნათელი გახდა ის უდავო ჭეშმარიტება, რომ დანაშაულებრივი სისტემის პროკურატურას არ შეუძლია ბრალმდებლის როლი შეასრულოს ასეთ პროცესზე.

თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის პროკურატურის მიერ საქმის შეჩერება კიდევ ერთხელ გასაგებად მიგვითითებს, თუ როგორი უსულგულო დამოკიდებულება აქვს ცენტრს რესპუბლიკების მიმართ. ქართველი ხალხის მკვლელებს იურიდიულად მოეხსნათ პასუხისმგებლობა. ეს ჩვენ მიგვაჩნია კიდევ ერთ დანაშაულებრივ აქციად საქართველოს მიმართ.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მრავალეროვნული მოსახლეობა მორიგ ერთსულოვნებას გამოიჩენს დღევანდელი საქართველოს მთავრობის მიმართ, ბოიკოტს გამოუცხადებს 17 მარტის იმპერიულ რეფერენდუმს და 31 მარტს, ეროვნული პლებისციტის დღეს, ხმას მისცემს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას 1918 წლის 26 მაისის თავისუფლების დეკლარაციის საფუძველზე.

პრეზიდენტი ემუქრება საქართველოს...

საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს მე-6 სესიაზე, უპასუხა რა ერთ-ერთი დეპუტატის კითხვას, თუ როგორი სიტუაციაა ე. წ. სამხრეთ ოსეთში, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ეს საკითხი ფედერაციის საბჭოში იხილებოდა. მე დავრწმუნდი, რომ სამხრეთ ოსეთში არის ხალხი, რომლებთანაც შეიძლება მოლაპარაკების დაწყება, და საქართველოს უზენაესმა საბჭომ კეთილ ინებოს, დაიწყოს ეს მოლაპარაკება. ამიტომ გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ გავგზავნოთ საქართველოში და სამხრეთ ოსეთში უზენაესი საბჭოს და მთავრობის წარმომადგენლები. სიტუაცია მწვავეა, პრაქტიკულად ყოველდღე იღუპებიან ადამიანები. ამას გარდა ფედერაციის სხდომაზე შევთანხმდით: თუ ეს ღონისძიებაც არ მოგვცემს შედეგს, პრეზიდენტი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უზენაეს საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას, რომელიც გადაჭრის პრობლემას. მე იმედი მაქვს, რომ ამას კეთილი ნებით გავაკეთებთ, თორემ ცუდად წაუვათ საქმე ქართველებს, ოსებსა და ყველა იმ ხალხს, რომლებიც იქ ცხოვრობენ...

ПАРТОКРАТЫ
ПРЕКРАТИТЕ САБОТАЖ
БЮРОКРАТЫ

10 მარტს მოსკოვის მანეჟის მოედანზე „დემოკრატიული რუსეთის" მოძრაობის მოწოდებით მიტინგი გაიმართა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ. ნ. ელცინის მხარდასაჭერად.
სურათზე: მიტინგის დროს.
„საქინფორმის" ფოტო.

მოლდოვის პრეზიდენტი რეფერენდუმის შესახებ

ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მოლდოვის პარლამენტის გადაწყვეტილების მიუხედავად მაინც მოაწყობენ თავიანთ ტერიტორიაზე რეფერენდუმს სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე, კონსტიტუციის თანახმად შეიძლება დაითხოვონ, ხოლო მათი ორგანიზატორები პასუხისგებაში მისცენ. ეს განაცხადა დღეს ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებთან, საწარმოებისა და მეურნეობების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე, მოლდოვის პრეზიდენტმა მ. სნეგურმა.

როგორც მან თქვა, გააკრიტიკა აგრეთვე მოლდოვის კომპარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას იწყებს რეფერენდუმის მოსამზადებლად. ამას ვერაფრით ვერ მივიჩნევთ დემოკრატიაზე თავდასხმად, ეს არის ნაბიჯი იმ გზაზე, რომ წესრიგი დამყარდეს რესპუბლიკაში. რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარის თქმა სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს ვწყვეტდეთ მოკავშირე რესპუბლიკებთან ურთიერთობას, ხაზგასმით აღნიშნა მოლდოვის პრეზიდენტმა. პირიქით, ჩვენ გვინდა მივანიჭოთ მათ ახალი იმპულსი ეკონომიკურ შეთანხმებათა საშუალებით, რომლებიც პრაქტიკულად დადებულია ყოველ მათგანთან, ყოველგვარი დიქტატის გარეშე.

„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს თათბირი გავლენას მოახდენს ზოგიერთ ადგილობრივ ხელმძღვანელზე და ისინი შეასრულებენ რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებას — არ მოაწყობენ რეფერენდუმს", უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მოლდოვის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. პუშკაშუმ. — თუ სადღაც კიდევაც იქნება ცალკეული შემთხვევები, მე მხედველობაში მაქვს რესპუბლიკის მარცხენა ნაპირი და სამხრეთი, ისინი რესპუბლიკის ბედის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებენ.

ლატვიის პარლამენტი საკავშირო რეფერენდუმის შესახებ

რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმს არ ექნება იურიდიული შედეგები — ასე გადაწყვიტა დღეს ლატვიის უზენაესმა საბჭომ.

ამის გამო მიღებულ დადგენილებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ხელისუფლების სახელმწიფო სტრუქტურები მონაწილეობას არ მიიღებენ მის მოწყობაში. ეს გადაწყვეტილება ახსნილია დამოუკიდებლობის და სრულიად ლატვიის გამოკითხვის შედეგების შესახებ დეკლარაციით.

მიღებულია ცნობა მოსახლეობის 3 მარტის გამოკითხვის შედეგების შესახებ. ოპოზიცია არ უარყოფს ცენტრალური კომისიის მონაცემებს.

ითხოვენ გორბაჩოვის გადადგომას

გუშინწინ მოსკოვის ორი პუნქტიდან ოქტომბრისა და აჯანყებულთა მოედნიდან ცენტრში მანეჟის მოედნისაკენ ხალხთა დიდი კოლონები გაემართა. იგი საზოგადოება „დემოკრატიული რუსეთის" ინიციატივით მოეწყო. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ბორის ელცინის მხარდასაჭერ მიტინგზე 3-5 ათასი კაცი მივიდოდა, სინამდვილეში კი თავი მოიყარა რამდენიმე ასეულმა ათასმა კაცმა. სიტყვებით გამოვიდნენ სახალხო დეპუტატები აფანასიევი, ტრავკინი, პოპოვი, გდლიანი და სხვანი, მათ შორის კუზბასის აუზის მაღაროელთა წარმომადგენლებიც.

ყველა გამომსვლელი პრეზიდენტ გორბაჩოვის გადაყენებას მოითხოვდა.

მღელვარება ბელგრადში

მღელვარე დღეები დაუდგა იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადს. 9 მარტს ე. წ. „სერბიის განახლების მოძრაობის" ლიდერმა ვუკ დრაშკოვიჩმა ბელგრადის ცენტრში, რესპუბლიკის მოედანზე მიტინგზე სერბიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა გადაყენება მოითხოვა. დრაშკოვიჩი „დიდი სერბეთის" შექმნის მომხრეა. მთავრობის ჯარებთან შეტაკების შედეგად დაიღუპა 2 და დაიჭრა 76 კაცი. მღელვარება შემდეგ დღეებშიც გაგრძელდა.

შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიის ორი რესპუბლიკა სლოვენია და ხორვატია ცალკე გასვლას მოითხოვენ. ამას ეწინააღმდეგება ყველაზე დიდი რესპუბლიკა სერბია.

შეხვედრები შეერთებულ შტატებში

5 მარტს საქართველოს მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი შეერთებულ შტატებში, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი და ცნობილი ბიზნესმენი თამაზ გამყრელიძე კალიფორნიაში შეხვდნენ შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს. რადიოსადგურ „ამერიკის ხმისათვის" მიცემულ ინტერვიუში ასათიანმა აღნიშნა, რომ რეიგანთან შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს დელეგაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შეხვედრას საქალაქო და კომუნალური განვითარების მინისტრთან ჯონ კემპთან, რომელსაც მომავალში პრეზიდენტობის კანდიდატად ასახელებენ.

უფრო ადრე საქართველოს დელეგაცია შეხვდა სენატორ ბრედლის და წარმომადგენელთა პალატის წევრს მექვენს. საქართველოს დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა აგრეთვე ჰელსინკის ადამიანის უფლებათა დაცვის და სენატის ეკონომიკურ კომისიებთან. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრები სენატის კომისიასთან. აქ უკვე ინტერესდებიან საქართველოს ეკონომიკური მომავლით, მისი რესურსებით, გამოიკვეთა კომისიის წევრთა საქართველოში ჩამოსვლის სურვილი.

ქართულმა დელეგაციამ გაიცნო ევროპის გაერთიანებული საბჭოს ელჩი შეერთებულ შტატებში. ისინი აგრეთვე შეხვდნენ პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციის დროს უშიშროების საკითხების მრჩეველ ზბიგნევ ბჟეზინსკის. ისაუბრეს იმ კანონპროექტზე, რომელსაც ბჟეზინსკი უახლოეს ხანში წარადგენს სენატის კომისიაში. ეს არის საბჭოთა კავშირის დაინტერესებულ რესპუბლიკებში ამერიკული ინსტიტუტების გახსნის პროექტი. ბჟეზინსკიმ საქართველოს წარმომადგენლებს თანხმობა უთხრა იმაზე, რომ ქართულად ითარგმნოს მისი წიგნები. შეგახსენებთ, რომ მას რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფია აქვს საბჭოთა და კომუნისტური სისტემების პრობლემებზე.

შეხვედრები ამერიკაში გრძელდება.

წერილები რედაქციას

ღია წერილი სკკპ საქართველოს ორგანიზაციის ანუ ე. წ. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯემალ მიქელაძეს

კომუნისტური პარტიის რიგებიდან კომუნისტთა გასვლამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს რესპუბლიკურ თუ საქალაქო გაზეთებში პარტიულ ფუნქციონერთა შორის მაღალი პოსტის მქონეთა არაერთი წერილი გამოქვეყნდა, რომლებშიც საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის წევრთა რაოდენობად ასახელებენ 400 ათასს. არაოფიციალური მონაცემებით კი დღეს რესპუბლიკაში 70 ათასი სკკპ წევრია დარჩენილი.

რომელია ზუსტი ამ ციფრებიდან? ამ კითხვის პასუხი საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ბევრს აინტერესებს. აინტერესებს ეს სრულიად საქართველოს საზოგადოება „თანადგომა და ამაღლებასაც", მაგრამ როგორც ჩანს, საქართველოს კომპარტიას არ სურს ჭეშმარიტების გამომზეურება, იმის აღიარება, რომ საქართველოში კომუნისტური პარტია თანდათან იშლება.

ადრინდელ პერიოდზე რომ არაფერი ვთქვათ, სულ ცოტა წელიწადნახევარი მაინც იქნება, რაც საქართველოს კომპარტიის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში არ ტარდება პარტიული კრებები, ბიუროს და კომიტეტის სხდომები. რაიონული და საქალაქო კომიტეტები უსაქმურობენ. მთლიანად რესპუბლიკაში კომუნისტური „ცხოვრება" ჩაკვდა. რესპუბლიკის კომპარტიის უზარმაზარი სამმართველო აპარატი ფაქტობრივად „უშრომელი შემოსავლით" არსებობს. უქმდება პარტიული ორგანიზაციები, ბიუროები და კომიტეტები, ხოლო საქართველოს კომპარტიის თბილისის საბურთალოს რაიკომი აგერ უკვე ერთი წელია ისე უსახელოდ და უგზოუკვლოდ დაიკარგა, კომუნისტები დაეძებენ მას პარტბილეთების ჩასაბარებლად და ვერ პოულობენ. კომუნისტები პარტიულ საწევროს აღარ იხდიან. კაცმა რომ თქვას, სად გადაიხადონ? ან რატომ გადაიხადონ? იმისათვის ხომ არა, რომ კვლავ აღსდგეს სკკპ-ს დიქტატი, კორუფცია, ყაჩაღობა, ტერორიზმი და დესპოტიზმი?

ბევრს მიაჩნია, რომ დღეს უკვე დაგვიანებულია კომპარტიის რიგებიდან გასვლა. ვფიქრობ, ეს მცდარი აზრია: კომპარტიის რიგებიდან გასვლა არასოდეს არ არის დაგვიანებული, საქართველო ბოლოსდაბოლოს უნდა გაიწმინდოს კომუნისტური დიქტატისაგან.

კომუნისტი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში არ გადაიხდის საწევროს, ითვლება პარტიის რიგებიდან გასულად. ახლა, თუნდაც სხვანაირად ქადაგებდეს ამის თაობაზე საქართველოს „დამოუკიდებელი" კომპარტია, საინტერესო ხომ მაინც არის, რამდენია დღეს რესპუბლიკაში სამი და მეტი თვის განმავლობაში პარტიის საწევროს „ურჩი" გადამხდელი. ასევე საინტერესოა სკკპ რიგებიდან გამსვლელთა რამდენი განცხადებაა განუხილავი დღეს რესპუბლიკაში, ან სკკპ რიგებიდან გასვლის მსურველთა რამდენი განცხადებაა უკან დაბრუნებული, ანუ ხელოვნურად შეფერხებული. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ხშირად საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების" პრეზიდიუმის შტაბ-ბინაში ამ საკითხებით შეწუხებულ ადამიანთა რიგები დგას. აქ რაიკომებიდან უარით გამოსტუმრებული ათასობით კომუნისტი ტოვებს პარტბილეთს შესაბამის რაიკომებში გადასაგზავნად. რადგან ჩვენი საზოგადოება პოლიტიკური პარტიებიდან გასულთა და სრულიად ასაკოვან უპარტიოთა საზოგადოებაა, ბუნებრივია, მისი პრეზიდიუმი ვალდებულია იზრუნოს სკკპ რიგებიდან გასულთა ან გასვლის მსურველთა ინტერესების დასაცავად.

კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების 70 წლის მმართველობის სავალალო შედეგები მძიმე ტვირთად დააწვა საზოგადოებას, რამაც საბოლოოდ დასცა კომპარტიის ავტორიტეტი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში: კომუნისტური პარტია დაიშალა იტალიაში, იშლება ინგლისშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც; სულს ღაფავს ალბანეთში, იუგოსლავიაში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში, გერმანიაში, საბჭოთა იმპერიაში. ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ. და ამიტომაც გეკითხებით: რატომ არ დაადგებით საკავშირო ალკკ საქართველოს ორგანიზაციის გზას? ხომ არ აჯობებს, ჩაატაროთ სკკპ-ს წევრთა რეგისტრაცია, მაგრამ არა კომუნისტებისათვის ჩვეული ფანდებით, არამედ პატიოსნად, რეგისტრაციის ჩატარების კონკრეტული ვადების გამოცხადებით.

თუ რეგისტრაციის შემდეგ სკკპ რიგებს ვინმე შემორჩება, მათი სიის გამოქვეყნება, ვფიქრობ, მარტო ისტორიისათვის კი არ იქნება საჭირო, არამედ კომუნისტური სენისაგან მათ განკურნებასაც შეუწყობს ხელს.

დღევანდელი საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი კომპარტიის წარმომადგენლები ხომ კითხულობთ თქვენს პირმშოს, გაზეთ „ცხოვრებას"? და თუ კითხულობთ, რატომ არ გაწუხებთ ის აზრი, რომ აღნიშნული გაზეთი თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მოევლინა ჩვენს რესპუბლიკას პოლიტიკურ სპეკულანტად, დესტაბილიზაციის მთესველად, ქართველი ერის გამთიშველად.

დადგა სულის ამაღლების, ცოდვების მონანიების, ჭეშმარიტი თანადგომის ჟამი. ბოლოსდაბოლოს, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ თუ ეროვნულ ხელისუფლებას ურთიერთ ქიშპობით მოვუშლით მოქმედების საშუალებას, ამით ჩვენივე ხელით განუსაზღვრელი ვადით შევაფერხებთ ეროვნულ მოძრაობას. ამას მომავალი თაობა არავის აპატიებს.

სრულიად საქართველოს საზოგადოების „თანადგომა და ამაღლების" პრეზიდიუმის სახელით, საზოგადოების პრეზიდენტი.

თეიმურაზ ქორიძე

საქ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს

ასლი: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას"

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ა. წ. 8 მარტის № 46-ში გამოქვეყნებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მემორანდუმ-ცნობა და მასში პირველ ნომრად დასახელებულია ცხოვრებოვი ალექსანდრე იასონის ძე, როგორც თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე.

გაცნობებთ, რომ სამხრეთ ოსეთში საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირს ჰქონდა რეგიონული სამხრეთ ოსეთის თეატრის მოღვაწეთა კავშირის განყოფილება, რომელიც ჩვენს მიერ გაუქმებულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს შესაბამისი დადგენილების მიღებისთანავე და ყოფილი განყოფილების თავმჯდომარე იყო ჟაჟიევი ანატოლი ანდროს ძე და არა ცხოვრებოვი ალექსანდრე იასონის ძე.

გ. ლორთქიფანიძე,

სსრკ სახ. არტისტი, პროფესორი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის განცხადება

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი უცხადებს რა სრულ სოლიდარობას საქართველოს პარლამენტს მის თავდადებულ ბრძოლაში ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას შემდეგი განცხადებით:

საქართველოში მოღვაწე ადვოკატები ყოველ ღონეს იხმარენ და ყველაფერს გააკეთებენ რესპუბლიკაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, მტკიცედ დაიცავენ მოქალაქის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს, ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების დონის შემდგომ ამაღლებას და ჭეშმარიტი მიზნების მიღწევას.

მხარს უჭერენ პარლამენტის ყველა დადგენილებას და განსაკუთრებით საქართველოს მტრების მიერ შექმნილ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" გაუქმების შესახებ, რითაც აღიკვეთა ბოროტი განზრახვა საქართველოსთვის შიდა ქართლის წართმევისა.

საქართველოს ადვოკატები მოუწოდებენ ოს ექსტრემისტებს, მკვლელებს, მოძალადეებს, ხულიგნებს, დედათა და ბავშვთა ამწიოკებლებს, შეწყვიტონ დანაშაულებრივი ქმედებანი და ჩადგნენ მშვიდობისა და პატიოსანი შრომის სამსახურში. ჩააბარონ მკვლელობის იარაღი, ხელი მოკიდონ მშვიდობის იარაღს — გუთანს, კალამს, დაზგებთან შრომას და უზრუნველყონ ამით თავისი და თავისი ოჯახების ბედნიერი ცხოვრება.

განემარტოს ყველას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქალაქეებს აქვთ უფლება გაანადგურონ შეიარაღებული თავდამსხმელი მკვლელები, შემოგზავნილი და მტრულად წაქეზებული ოსი ექსტრემისტები და მათი დამქაშები. უკეთუ მკვლელები არ შეწყვეტენ მოსახლეობის აწიოკებას, საქართველოს ადვოკატთა კოლეგია სამაჩაბლოში ცხოვრების სტაბილიზაციის მიზნით გადაურიცხავს თავისი შრომითი დანაზოგებიდან ლეგიონერებს შეძლების და მიხედვით თანხებს, რათა აუცილებელი მოგერიების დროს აილაგმონ მკვლელები და სხვა ჯურის სისხლსმოწყურებული თავდამსხმელები. მოგიწოდებთ ყველა დამნაშავეს, შეწყვიტოთ ძალადობა, დაემორჩილოთ პარლამენტის სრულიად კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებას. სამაჩაბლოში და საერთოდ ყველგან საქართველოში, სოციალური და ეროვნული პრობლემების სამართლიანი, მშვიდობიანი და პროგრესული გადაწყვეტა საქართველოს ადვოკატთა მრავალეროვანი მშვიდობისმოყვარული კოლექტივის უპირველესი მიზანი და ამოცანაა.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.

უმეცრება თუ შეგნებული შეურაცხყოფა

თავისი მნიშვნელობით ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმის შემდეგ დედაქალაქში მესამე მუზეუმია. ძლივს ეღირსა ჩვენი დედაქალაქის მუზეუმს შესაფერისი შენობა (ყოფილი ქარვასლა). მუზეუმის ადგილსამყოფელი საშუალებას იძლევა სრულად იყოს წარმოდგენილი ძველი თბილისური ყოფა მისთვის დამახასიათებელი სახელოსნოებით, რაც ასე ცოცხალს, მიმზიდველს ხდიდა ამ უძველეს ქალაქს ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ მოგზაურთათვის.

ჩვენ პირველად არა ვართ ამ მუზეუმში. ხშირად დავდივართ გამოფენებზე, რომლებიც ეწყობა პირველ და მესამე სართულზე. გვახსოვს ის პირველი, შესანიშნავი გამოფენა ახლად გადმოსულ მუზეუმში რომ მოეწყო. გვახსოვს ბატონი იური ზარეცკის ნაანდერძევი ქონების გამოფენა, რომელმაც გარკვეული კამათი გამოიწვია საზოგადოებაში, რადგან თბილისის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმში მიწყობილ ამ ექსპოზიციას საკომისიო მაღაზიის ელფერი დაჰკრავდა. თუმცა სხვა გზა მაშინ არ იყო, ვინაიდან ბატონმა იური ზარეცკიმ თავისი ქონება სწორედ ამ მუზეუმს უანდერძა, სულ სხვა შემთხვევაა დღეს აქ გახსნილია კომერციული მაღაზია „მერკური-2".

უკანასკნელად მუზეუმში გახლდით მხატვარ პ. ქლიბაძის გამოფენაზე. გამოფენიდან გამოსულები დავსხედით იქვე მოწყობილ კაფეში. მხატვრის ნამუშევრებით მიღებული შთაბეჭდილებები გააქარწყლა და გადაფარა ჯერ სინქრონულად ამღერებულმა რუსულმა და ინგლისურმა სიმღერებმა (ბარიდან — რუსული, ხმის ჩამწერი ოთახიდან — ინგლისური) და მერე საქონლის ღიად, შეუფუთავად გადმოზიდვამ საწყობიდან (საგამოფენო დარბაზის გვერდითა ოთახი) კომერციულ მაღაზიაში.

ვფიქრობთ, დღეს, როდესაც ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის ამდენი კეთდება, ამ შენობაში შექმნილი არასამუზეუმო ატმოსფერო შეურაცხყოფას აყენებს თბილისის ისტორიას და ყველა თბილისელს. სამწუხაროა, რომ მუზეუმის თანამშრომლები, პროფესიონალები ამაზე ხმას არ იღებენ და როგორც ჩანს, პირიქით, ხელს უწყობენ ვაჭრობის (კომერციის) განვითარებას ამ შენობაში.

თუ მუზეუმის ხელმძღვანელობას, რომლის ნებართვითაც, ალბათ, მაღაზიის მესვეურთ მიეცათ აქ დაბინავების უფლება, ეს უმსგავსობა არ აწუხებს, საინტერესოა, რა აზრის არის ამაზე კულტურის სამინისტრო.

ა. ბვიშიანი, მ. კვაკაძე, თ. მონიავა, ზ. ჯავახიშვილი, მ. ბრეგაძე.

გასწორება

„საქართველოს რესპუბლიკის" 9 მარტის ნომერში დაბეჭდილ ჩვენს შენიშვნაში ჩვენი მიზეზით გაიპარა სამწუხარო შეცდომა: ბ-ნი თამაზ ტყემალაძე, ტელევიზიის მთავარი რედაქტორი მოხსენიებულია „ერთ-ერთ რედაქტორად". გაზეთის საშუალებით ბოდიშს ვიხდით ბ-ნ თამაზ ტყემალაძის წინაშე.

გურამ თევზაძე,

ზურაბ კიკნაძე

სიბნელესა და უმეცრებაში

წერილი ლადო ბახტრიონელს, ლადო იყალთოელს, ლადო მთაწმინდელს, ლადო ებრისელს, ესე იგი, ვლადიმერ ალფენიძეს

ცხოვრებაც კარგი დაგვიდგა და გაზეთი „ცხოვრებაც" კარგი მოიგონეს საქართველოში მცხოვრებმა ორთოდოქსმა მარქსისტებმა.

წავიკითხე ამ გაზეთში დაბეჭდილი პოლკოვნიკ ალფენიძის პასკვილი „საქართველოს მზიანი ღამე", ამ წერილშიც, რაღა თქმა უნდა, საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდის.

როცა ავადმყოფური პასკვილის შინაარსს გავეცანი, უნებლიეთ თვალი გამექცა ერთი პატარა ცნობარისაკენ. ეს საქართველოს მწერალთა კავშირის ცნობარი შედგენილია 1983 წლის იანვრის მონაცემების მიხედვით.

ცნობარში სწერია:

აბაშიძე ირაკლი — (პოეტი)
ამირეჯიბი ჭაბუა — (პროზაიკოსი)
ბაქრაძე აკაკი — (კრიტიკოსი)
გეგეშიძე გურამ — (პროზაიკოსი)
გეგეჭკორი გივი — (პოეტი)
დოჩანაშვილი გურამ — (პროზაიკოსი)
იმედაშვილი კობა — (კრიტიკოსი)
ინანიშვილი რევაზ — (პროზაიკოსი)
კაკაბაძე ნოდარ — (ლიტერატურათმცოდნე)
კალანდაძე ანა — (პოეტი)
ლებანიძე მურმან — (პოეტი)
მაჭავარიანი მუხრან — (პოეტი)
ნიშნიანიძე შოთა — (პოეტი)
ფოცხიშვილი მორის — (პოეტი)
წიფწივაძე თამაზ — (კრიტიკოსი)
ჭანტურია ტარიელი — (პოეტი)
ჭეიშვილი რეზო — (პროზაიკოსი)
ჯობაძე მაკა — (პროზაიკოსი)

მე ცალსახად წარმოვადგინე თვრამეტი კაცი, ვინც მწერლობის ერთი დარგის წარმომადგენელია; რა თქმა უნდა, არიან სხვანიც, რომლებიც ისევე ემსახურებიან პოეზიას, როგორც პროზას, ან პუბლიცისტიკას, ან ლიტერატურათმცოდნეობას, მაგრამ ერთი ჩავხედოთ ცნობარს, ვინ არის ალფენიძე ვლადიმერ ტარასის ძე? (ლადო ბახტრიონელი): ვინ არის და ყველა დარგის წარმომადგენელი, ვინ არის და, — (პროზაიკოსი, პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი), ვითომ მართლა ასეა?

შეიძლება ერთი კაცი ასე ყველაფერი იყოს და თან არაფერი არ იყოს? მართლა ბნელა და ჩალითაა ყველაფერი დახურული? ახლა ამას ყველაფერს ხომ უნდა მივუმატოთ: ჟურნალისტობა, კრიტიკოსობა, პოლკოვნიკობა, „თანაშემწეობა", „ემიგრანტობა", ჭკუათმყოფელი კაცი ოდნავ მორიდებულიც ხომ უნდა იყოს, რომ არ დაიბრალოს ის, რაც არ არის?

მივხედოთ ბრალმდებელს:

ბრალი მედება, რომ ჰელსინკისა და სახალხო ფრონტის „წევროსან" წარმომადგენლებთან ერთად მე, ბატონმა თეიმურაზ ქორიძემ და ბატონმა გურამ გვერდწითელმა დავარბიეთ „საქართველოს მოამბის" მესამე ნომერი.

უნდა ვაღიარო, რომ გაზეთ „საქართველოს მოამბის" მესამე ნომრის დარბევაზე არაფერი მსმენია, სულაც იმიტომ, რომ დღესაც წარმოდგენა არა მაქვს ამ გაზეთის პირველ და მეორე ნომრებზე; ვიცი ილიასეული „საქართველოს მოამბე", ვიცი დისიდენტური „საქართველოს მოამბე", მაგრამ, ღმერთი, რჯული არაფერი მსმენია ალფენიძისეულ „საქართველოს მოამბეზე." ამდენად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დარბევის გამო ბატონ რევაზ ღლონტთან ჩვენი საუბარი ვერ შედგებოდა.

ეს გახლავთ პირველი და მთავარი სიცრუე პოლკოვნიკ ალფენიძისა. ისიც მინდა ვაღიარო, რომ ალფენიძესთან არასოდეს და არსად შეხების წერტილი არა მქონია, ან რა საქმე უნდა მქონოდა? მასთან სუკის გენერლებს ჰქონდათ საქმე და თურმე უკრძალავდნენ კიდევაც (მადლობა უფალს) ჩემზე წერილების წერას (როგორც თვითონ წერს).

ქვეყანაზე რომ განუკითხაობა არ იყოს, ალფენიძეს მართლა უნდა აეკრძალოს წერილების წერა, მაგრამ ვინაა განმკითხავი?

თქვენ, ბატონო ალფენიძე პოლკოვნიკო! ბრძანებთ, რომ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ციხეში მოგიტანათ, წაგაკითხათ და დაგიტოვათ „ჟანსუღის ლექსებისა და პოემების გამანადგურებელი, სუპერკრიტიკული რეცენზია".

წამითაც არ გაიფიქროთ, არ ვიცოდე, ვინ ვინაა, ან „თქვენს დროში" რას მიწყობდნენ, ვინ ვისთან მიჩიოდა, ვინ ვისთან მასმენდა, ვისი წერილია ყველა დანარჩენი პასკვილის პირველწყარო. ისიც კარგად ვიცი, როგორ გაამზადებინეს ერთ თქვენს მეგობარს (სუკის ოფიციალურ აგენტს) ჩემზე წერილი, სადაც საბჭოთა ქვეყნის მტრად მაცხადებდნენ, ხოლო ამ წერილის დაბეჭდვას მაშინდელი ხელმძღვანელი საკავშირო პოლიტბიუროს წევრებს აბრალებდა...

დღესაც მიტევენ, დღესაც მკორტნიან, გამზადებულია 45 გვერდიანი პასკვილი ჩემს წინააღმდეგ, რომელსაც პირველწყაროდ ისევ ის ძველი, ჩემთვის ცნობილი წერილი უდევს. პასკვილის ავტორის დამფინანსებლებსაც ვიცნობ, ასე რომ, სანამ გავუძლებ, გავუძლებ, ხოლო თუ ვერ გავუძლებ, როგორ არ გამოჩნდება კაცი განმკითხავი და მართალი სიტყვის მთქმელი?

დავუშვათ, დავიჯერე, რომ ზვიად გამსახურდიას მართლაც ჰქონდა ასეთი გამანადგურებელი წერილი ჩემზე დაწერილი, მაგრამ ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ პოლკოვნიკ ალფენიძეს, ცეკას პირველი მდივნის „პირველ თანაშემწეს" გახლდათ ციხეში შემოსვლა გთხოვათ, წერილი წაგაკითხათ, შემდეგ დაგიტოვათ კიდევაც, რათა მწვანე გზა მიგეცათ პრესისაკენ... თუ ამ სიმართლით დადიხართ, და ასეთ სიმართლეებს წერთ, მაშინ თქვენ არანორმალური კი არ ყოფილხართ (როგორც პრესაში საქვეყნოდ გიწოდებენ), არამედ, დიდი ეშმაკი და გაქნილი პროვოკატორი, მავნე კაცი და დაუნდობელი.

იქნებ, მეც ისე ამოვედი თქვენთან ციხეში, როგორც ზვიად გამსახურდია?

კი, მაგრამ, ვინ დაგიჯერებთ, „დიდო პოლკოვნიკო", რომ მე მოვედი თქვენთან საშველად ზვიად გამსახურდიას „ბიჭებისაგან" გალახული და მთელი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა მაწყნარებდა? (აქ კინაღამ წამომცდა, როგორ არა გრცხვენია-მეთქი);

თქვენ რომ მე მართლა მიცნობდეთ, მაშინ ისიც გეცოდინებოდათ ზვიად გამსახურდიას მაშინდელი „ბიჭები" (როგორც თქვენ შეურაცხმყოფლურად უწოდებთ) ჩემი ამხანაგებიც იყვნენ, ზოგი ახლობელი, ზოგი კარგი ნაცნობი: გურამ დოჩანაშვილი, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე... ამ მწერლებს ეძახდით „ბიჭებს"? თუ — ვიქტორ რცხილაძეს, ჯონდო მეტრეველს და ჯემალ გოლეთიანს? თუ ქართული ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელს მერაბ კოსტავას? რომელ „ბიჭებზეა" საუბარი? აი, ასე ცრუობდით და თვალში ნაცარს აყრიდით წლების მანძილზე ქართველ ხალხს, ცეკას პირველ მდივანსაც და ასე უტიფრად ამოგყავდათ მზე ჩრდილოეთიდან... აგებთ თუ არა რამეზე პასუხს? რა თქმა უნდა, არა, რატომ? იმიტომ, რომ თავისუფალი ხართ. მეტსაც ვიტყვი: როცა თქვენნაირი ფუნქციონერი პოლკოვნიკები ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და მათ მეგობრებს აპერინებდნენ, მე ბევრთან ერთად ვიბრძოდი იმათ გამოსახსნელად. სხვა ამბებშიც მინდა გაგეცნოთ, ბატონო პოლკოვნიკო; როცა ციხიდან საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერთა გამოშვებას მივაღწიეთ, მე მათ თავდებში დავუდექი. თქვენ მაშინ სამკურნალოდ ბრძანდებოდით. კაცმა რომ თქვას, არც უნდა გეწყინოს წიხლი კაცისა, რომელიც არაფრით არა ჰგავს წიხლს იმ მუშა ცხოველისას, რომელზეც ასე უსამართლოდ ლაპარაკობენ ქართველები.

ეგ არაფერი, მე სხვა რამ მწყინს, სხვა რამ მეხამუშა ამ სისულელეებით გატენილ პასკვილში...

ალფენიძე პოლკოვნიკო! თქვენს წერილში ნახსენებია ჩემი სიყრმისა და მთელი ჩემი ცხოვრების გამორჩეული მეგობარი ნოდარ დუმბაძე. ამ შემთხვევაში გირჩევთ, ბოდიში მოიხადოთ საქვეყნოდ, თორემ მართლა შემიძლია გავიხსენო 70-იანი წლების ჩემი ახალგაზრდობა, მერე კი ვერ გიშველით ვერც ერთი სუკის მაშინდელი თქვენი მეგობარი გენერალი... (ჩემს ახალგაზრდობაში თქვენნაირ აგენტებს ცხვირპირს უმტვრევდნენ).

სწორედ თქვენი პოლკოვნიკობისა და ჟურნალისტობის, პროზაიკოსობის, პოეტობის, ლიტერატურათმცოდნეობის, პუბლიცისტობისა და „თანაშემწეობის" ჟამს ქალაქში დადიოდა ორსტრიქონიანი „ფუნაგორია",

„ისე აფრენს ალფენიძე,
ქვას არ ტოვებს ქვაფენილზე".

ეს „ფუნაგორია" რატომღაც დღემდე ჩემი გგონიათ, მე ხმამაღლა ვაცხადებ, „ფუნაგორია" ნაღდია და ჭეშმარიტი, მაგრამ იგი ჩემი არ გახლავთ. ნურც ის გეწყინებათ, რომ თქვენს „ნაწარმოებებს", სანამ მე გამომცემლობა „საქართველოს" ხელმძღვანელი ვიქნები, ვერ გამოვცემ, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი გამომცემლობა ანგარიშს უწევს მკითხველ საზოგადოებას, მით უმეტეს, დღეს, როცა ასე გვაწუხებს უქაღალდობა (აქ ხომ არაა ძაღლის თავი დამარხული?).

თქვენ წერთ, რომ „ჩვენ მაშინ ვმეგობრობდითო". ღმერთმა დამიფაროს თქვენი მეგობრობისაგან, ჩემს ცხოვრებაში ერთმანეთთან ამხანაგური ურთიერთობაც არა გვქონია, (თქვენ სამწუხაროდ, რაღაცეები გეჩვენებათ). კი ბატონო, მივესალმებოდით ერთმანეთს, თქვენ ისევე გიცნობდით, როგორც ბევრ „თანაშემწეს"..., ისიც მინდა იცოდეთ, რომ საქართველოში ძალიან ბევრს ვიცნობ, ბევრ ჭკვიან კაცს და ბევრ სულელს, ბევრ მამულიშვილს და ბევრ გამყიდველს, ბევრ ნამუსიანსა და ბევრ უნამუსოს. ჩემი ამხანაგი თქვენ არასოდეს ყოფილხართ, თქვენ კარგად იცით ჩემი ამხანაგები რომლებიც არიან, სწორედ ისინი მირჩევდნენ: არ უპასუხო, ავადმყოფია და ცოდვაა, არც ვაპირებდი პასუხის დაბეჭდვას, მაგრამ თუ მართლა ავადმყოფი ხართ, შეიძლება გაზეთის რედაქტორი იყოთ? ეს ანბანური ჭეშმარიტება ხომ უნდა ესმოდეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებსაც? ისევ მოგახსენებთ, ჩემი მეგობარი თქვენ კი არა ხართ, ჩემი მეგობარი სწორედ ის ნოდარ დუმბაძეა, რომლის წმინდა სახელსაც ასე უხეშად შეეხო ბინძური ხელი ცილისმწამებელ შავი პოლკოვნიკისა. მე თქვენ ამას ვერასოდეს ვერ გაპატიებთ.

რაც შეეხება „მაფიას", ბატონო პოლკოვნიკო! მაფია იქ, სიცილიაში მოიკითხეთ, საცა არ მიგიღეს და არ მოგაწამლინეს ჰაერი იტალიისა, სამარცხვინოდ უკან გამოგაბუზურეს, როგორც აქედან შეგზავნილი აგენტი, უკან გამოგაბუზურეს სწორედ იმ საბჭოთა კავშირში, რომელიც „განახლებას" აპირებს თქვენნაირი შავი პოლკოვნიკებისა და ორთოდოქსი, ტანსაცმლიანად მოწამლული მარქსისტების იმედით.

და ბოლოს, თქვენ იცით როგორ აზროვნებთ? დაახლოებით ასე: სუკის ერთმა გენერალმა მითხრა, ავთანდილ მარგიანმა უთხრა გრიშა ონიანს, ჯემალ მიქელაძეს ალფენიძის მოკვლა უნდაო, მაგრამ ბუშს დაურეკია, თავი დაანებეთ მიტერანის ახლობელია კოლის მხრიდან და ნიცშეს ეწყინებაო...

თქვენივე მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოდის!

თქვენთვის არც არაფერი შეცვლილა!

მე მოვრჩი თქვენთან საუბარს, ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

1991 წელი 5 მარტი.

გახსენება



არასრული სია იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც დახვრიტეს 1956 წლის 9 მარტს

შანიძე თენგიზ აკაკის ძე, 16 წლის, რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მე-9 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მოსკოვის უცხო ენათა (ფრანგული ენის) კურსების მსმენელი (დაუსწრებელი), მამა — აკაკი ემელიანეს ძე შანიძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ძმები — ემზარი — ინჟინერი, ჯემალი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აღმზრდელი დედა — ნინო კონსტანტინეს ასული კანდელაკი-შანიძისა, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

სვანი გულიკო აკაკის ასული, 19 წლის, სტუდენტი (აააგეს ნიმუშზე). დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

პანტურიძე კიაზო შალვას ძე, 16 წლის, მე-9 კლასის მოსწავლე, იყო დედისერთა, მშობლები გარდაეცვალა, ამჟამად ახლობლები არავინ ჰყავს, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ალავიძე ვალერი დავითის ძე, 16 წლის, მე-8 კლასის მოსწავლე, ფეხბურთელი, მამა — დავითი, დედა — თინა, და — ნანი ქმარშვილიანი, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

მამალაძე ჭიმშერ ვასილის ძე, 19 წლის, სწავლობდა მუშა-ახალგაზრდობის სკოლის მე-11 კლასში, მუშაობდა აბრეშუმის ფაბრიკაში, მამის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ (ავტოავარია) დაიბადა და იზრდებოდა დედის ხელში, იყო ზრდილი და წყნარი ახალგაზრდა, დედა — გუგული, და — ნორა ქმარშვილიანი. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

გოგია რეზო კლიმენტის ძე, მოსწავლე, 16 წლის, მამა იყო დამსახურებული მასწავლებელი, დედა — თამარი. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

წერეთელი იუზა ვლადიმერის ძე, 18 წლის, მე-11 კლასის მოსწავლე, გადაღებულია კინოფილმ „ეთერის სიმღერაში" (ეპიზოდურ როლში), მამა — ვლადიმერი, დედა — გარდაეცვალა, ძმა — გურამი ცოლშვილიანი, და — მერი ქმარშვილიანი. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

მერკვილიშვილი (ბიჭიკო) უშანგი იასონის ძე, 18 წლის, მშობლები გარდაეცვალა, ძმა — გიორგი ცოლშვილიანი, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ხანგულოვი ლევან არმენაკის ძე, 16 წლის, მე-8 კლასის მოსწავლე (მამა გარდაეცვალა), დედა — ლიდა გულიშვილი, ძმები — მიშიკო და გივი — ცოლშვილიანები. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ბენიძე ნაზი შალვას ასული (თელავიდან), 30 წლის, მუშაობდა დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, სამკერვალო დაწესებულებაში მკერავად, ჰყავს და ვენერა, დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე (მოკლულია ხიშტით მუცლის არეში).

ჰანკვეტაძე ანზორ იოსების ძე, 24 წლის სტუდენტი გამოვიდა სახლიდან სროლის დროს, ძმის საძებნად, ძმა დააპატიმრეს, ანზორი კი დახვრიტეს.

ტუნიევი გურამ სერგოს ძე, 20 წლის, მე-11 კლასის მოსწავლე, იყო საუკეთესო სპორტსმენი, მშობლები დარდით გარდაეცვალა, ჰყავს და — ციცინო, რომელიც მაშინ 9 წლის იყო.

რევაზიშვილი კლიმენტი ესტატეს ძე, 20 წლის, სტუდენტი (მცხ. გორის რაიონის სოფ. ატენი), მამა არ ჰყავდა, დედა — ნინო, მეუღლე — მედიკო, შვილი შაინი, დაკრძალულია ატენში.

გობეჯიშვილი ოთარ ერმილეს ძე, 25 წლის, მე-3 კურსის სტუდენტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ლოლუა რაულ გვეჭვეს ძე, 20 წლის, სტუდენტი (დედ-მამა გარდაეცვალა), ჰყავს ძმა თამაზი — ცოლშვილიანი.

ნოზაძე შენგელი გიორგის ძე, 20 წლის, სტუდენტი (ხაშურის რაიონი, სოფ. ალი თუ თვალი), დასაფლავებულია იმავე სოფელში, ჰყავს ძმა და ორი და.

თოფურია თემურ ვლადიმერის ძე, 24 წლის (ჯარი ჰქონდა ახალი მოვლილი, მამა დახვრეტილი ჰყავდა 1937 წელში, დედა გარდაეცვალა), ჰყავს ძმა — მალხაზი, ცოლშვილიანი.

ქოქრაშვილი ამბროსი შალვას ძე, 27 წლის, მცხ. სოფ. ხაშმში, მამა გარდაეცვალა, დედა — სონია, მეუღლე — ციალა, შვილი — შალვა და ნანული, დაკრძალულია სოფელ ხაშმში.

ხვთისაური ნუგზარი (ხევსურიკისტი?), სურათი გადმოცემულია აწ. გარდაცვლილი კიაზო პანტურიძის დედის ხონიასაგან, დაგზავნილი მაქვს მიმართვები, მაგრამ ჯერჯერობით შედეგები არა მაქვს.

ელიზბარაშვილი შოთა ვახტანგის ძე, 26 წლის, მძღოლი, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე, ჰყავს და — ზაირა ელიზბარაშვილი.

მაზავრიშვილი შალვა ამბროსის ძე, 39 წლის, ინჟინერი, ჰყავს ძმისწულები — მამუკა და ნინო, დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

მათიაშვილი მიხეილ ვლადიმერის ძე, 19 წლის, მუშაობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მძღოლად, მამა გარდაეცვალა, დედა — ეკატერინე, დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე.

ბაჯიაშვილი კოტე მიხეილის ძე, დაღუპვის დღეს შეუსრულდა 26 წელი, მუშაობდა „საქკინომრეწვის" კადრების განყოფილებაში, იყო დედისერთა, აღარავინ ჰყავს, დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე.

ბურდული თეიმურაზ სიმონის ძე, 25 წლის, სწავლობდა მუშა-ახალგაზრდობის მე-12 სკოლის მე-10 კლასში, თან მუშაობდა მძღოლად საავტოიაქო სამმართველოში, დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ჰყავს და — ციალა ბურდული.

ზარგარიანი ბორის ტიგრანის ძე, 20 წლის, მუშაობდა 31-ე საავიაციო ქარხანაში ზეინკლად, მამა გარდაეცვალა, ჰყავს დედა, დაუძლურებული, 90 წლის. ძმა — რობერტი ცოლშვილიანი, დასაფლავებულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

მჭედლიძე ვალერი ზაქარიას ძე, 27 წლის, იგი 9 მარტს ღამით „ჩორნი ვორონით" წაუყვანიათ, საშინლად უწამებიათ, უკეთებიათ ნემსები, იქიდან დაბრუნებულს ამ წამებისათვის ველარ გაუძლია და მოუკლავს თავი, მამა არ ჰყოლია, დედა და და თან გადაჰყვნენ.

27. გვარი უცნობია.

მიაკვლია და შეადგინა ნ. კანდელაკი-შანიძემ.

არაქართველები საქართველოსათვის

საქართველოში პირველ რეფერენდუმის ჩატარების წინ, ჩვენი გაზეთი მკითხველებს სთავაზობს ახალ რუბრიკას „არაქართველები საქართველოსათვის". [illegible] ანნე მეტსის-კალდის [illegible] რომელმაც რამდენიმე წლის წინ, ღირსეული პასუხი გასცა აფხაზეთში მცხოვრებ ანტიქართველ ბოკუჩავას.

რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ნებისმიერი არაქართველის გამოხმაურებას წინამდებარე წერილზე.

დღეს საქართველო განსაცდელშია. საქართველოს თავისუფლება ყველა მისი შვილის თავისუფლებაა, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიისა.

ბალტიის რესპუბლიკებში რუსულენოვანი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხმა მისცა ბალტიის დამოუკიდებლობას.

ახლა, თქვენი ჯერია, საქართველოს შვილებო!



Seisame gruusia eest!

ძალიან [illegible]
საქართველოში მიმდინარეობს [illegible]
და არაქართველების [illegible]
კითხვაზე — გვინდა თუ არა საქართველოს
დამოუკიდებლობა?
მე ესტონელი ვარ. ქართველები მხარს
უჭერენ ჩემი სამშობლოს თავისუფლებას,
ამიტომ მეც მოვუწოდებ ყველა არაქართველს
ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას!
ვისაც არ უნდა საქართველოს თავისუფლება
იმას არც უნდა ეთქვას საქართველოს მოქა-
ლაქეობაზე.
მჯერა აფხაზეთში მცხოვრები ესტონელებიც
არ უღალატებენ საქართველოს!
Elagu gruusia ja eesti vabadus!
ანნე მეტსის-კალდი

განცხადება

თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრი აცხადებს კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ახალგაზრდა ოსტატ-შემსრულებლებს.

ხელმძღვანელები: თეატრის მთავარი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი თემურ ქევხიშვილი; მთავარი ქორეოგრაფი — საქართველოს დამსახურებული არტისტი ლექსო ნიკოლაძე.

კონკურსი ჩატარდება ა. წ. 18 და 25 მარტს, თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში დილის 11 საათიდან.

ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ თეატრის მისამართზე: თბილისი — ქეთევან წამებულის გამზირი, № 94, ტელეფონი: 74-13-26; 74-58-55.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
შეკვეთა 66634

საქართველოს რესპუბლიკა